ევროკავშირი საქართველოსთვის
ENPARD

CENN
Shaping the Future by Changing Today

# წალკის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2020 – 2024

ესწალკაა
EMBRACETsalka

დოკუმენტი შემუშავებულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს. დოკუმენტი მომზადებულია პროექტის - ადგილობრივი ლიდერები მდგრადი განვითარებისათვის წალკის მრავალეთნიკურ მუნიციპალიტეტში („ეს წალკაა“) - ფარგლებში

დეკემბერი, 2019

# შინაარსი

**პრიორიტეტული სფერო 1 - სოფლის მეურნეობა....3**
სოფლის მეურნეობა - SWOT ანალიზი....3
სოფლის მეურნეობა - ამოცანები და სტრატეგიული ღონისძიებები....5

**პრიორიტეტული სფერო 2 - ტურიზმი და ეკონომიკური განვითარება....21**
ტურიზმი და ეკონომიკური განვითარება - SWOT ანალიზი....21
ტურიზმი და ეკონომიკური განვითარება - ამოცანები და სტრატეგიული ღონისძიებები....22

**პრიორიტეტული სფერო 3 - გენდერული თანასწორობა და ქალთა ინტეგრაცია....29**
გენდერული თანასწორობა და ქალთა ინტეგრაცია - SWOT ანალიზი....29
გენდერული თანასწორობა და ქალთა ინტეგრაცია - ამოცანები და სტრატეგიული ღონისძიებები....30

**პრიორიტეტული სფერო 4 - განათლება, ახალგაზრდობა, კულტურა, სპორტი....35**
განათლება, ახალგაზრდობა, კულტურა, სპორტი - SWOT ანალიზი....35
განათლება, ახალგაზრდობა, კულტურა, სპორტი - ამოცანები და სტრატეგიული ღონისძიებები....37

**პრიორიტეტული სფერო 5 - გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა....43**
გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა - SWOT ანალიზი....43
გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა - ამოცანები და სტრატეგიული ღონისძიებები....44

**პრიორიტეტული სფერო 6 - ჯანდაცვა და სოციალური საკითხები....52**
ჯანდაცვა და სოციალური საკითხები - SWOT ანალიზი....52
ჯანდაცვა და სოციალური საკითხები - ამოცანები და სტრატეგიული ღონისძიებები....53
დანართი 1 - წალკის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების შესაბამისობა ეროვნულ სტრატეგიებთან....56
დანართი 2 - წალკის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ცხრილი....70

# პრიორიტეტული სფერო 1
# სოფლის მეურნეობა

## სოფლის მეურნეობა - SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| 1. ბუნებრივი პირობები და გეოგრაფიული მდებარეობა<br>2. ბუნებრივი მდინარეები (სარწყავად და ელ. ენერგიის მისაღებად)<br>3. ნაყოფიერი ნიადაგი<br>4. ბაზარზე წვდომის სიმარტივე (თბილისთან სიახლოვე)<br>5. სამკურნალო ბალახების ფართო ასორტიმენტი<br>6. საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების არსებობა მუნიციპალიტეტში<br>7. სოფლის მხარდაჭერის პროგრამები<br>8. მაღალმთიანი დასახლების სტატუსი (მიწის გადასახადისგან გათავისუფლება, სხვადასხვა შეღავათი) | 1. არასაკმარისი და არაკვალიფიციური კადრები<br>2. თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის დაბალი დონე<br>3. დაუკანონებელი საცხოვრისები და მიწები<br>4. გასაღების ბაზრის არქონა ან არასაკმარისი წვდომა<br>5. პროდუქტის ეტიკეტირებისა და მარკეტინგის პრობლემა<br>6. სარწყავი სისტემების არქონა<br>7. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე შეზღუდული წვდომა<br>8. კოოპერაციული მუშაობის ნაკლებობა<br>9. თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმაციის არქონა<br>10. სიახლეებისა და რეგულაციების შესახებ ცოდნის არქონა<br>11. ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრის მუშაობის არაეფექტიანობა<br>12. სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების არარსებობა<br>13. ჯიშობრივი გაუმჯობესების (მცენარეებისა და ცხოველების) შესახებ ინფორმაციის არქონა<br>14. სათესლე მასალასა და სასუქებზე წვდომის პრობლემა<br>15. აგრონომებისა და ვეტერინარების კონსულტაციებზე წვდომის არარსებობა<br>16. რძისა და რძის პროდუქტების მიმართულებით კვების ტექნოლოგიების დეფიციტი<br>17. წარმოებული პროდუქციის დაბალი საბაზრო ფასი თვითღირებულებასთან მიმართებით (არასტაბილური ფასი)<br>18. მცირემიწიანობა<br>19. დაურეგისტრირებელი მიწები<br>20. ფინანსებზე შეზღუდული წვდომა<br>21. ერთწლიან კულტურებზე სახელმწიფო დაფინანსების არარსებობა<br>22. მოტივაციის ნაკლებობა - გახდე ფერმერი<br>23. სოფლის მეურნეობის სფეროს პოპულარიზაცია<br>24. პროფესიული კოლეჯის არარსებობა<br>25. ენკროვანი კულტურების პოტენციალის აუთვისებლობა<br>26. დაბალი ხარისხის სარგავი მასალა<br>27. აუთვისებელი სახნავი მიწები |

| შესაძლებლობები | საფრთხეები |
|---|---|
| 1. ბიო პროდუქტების მიმართულების გაძლიერება და სტრატეგიის დასახვა<br>2. მიწების ფუნქციური დაყოფა<br>3. კენკროვანი მცენარეების პოტენციალის გამოყენება<br>4. მეთევზეობის მხარდაჭერა და გაძლიერება<br>5. მეფუტკრეობის განვითარება<br>6. მეფრინველეობის გაძლიერება<br>7. ყამირი მიწების ეფექტიანად დამუშვება და გამოყენება<br>8. ნიადაგების ლაბორატორიული კვლევების რეგულარული ჩატარება მდგრადობის უზრუნველსაყოფად<br>9. ახალი ჯიშების შემოტანა (მაგ.: ხორბალი)<br>10. თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზის შექმნა<br>11. სასათბურე მეურნეობების განვითარება<br>12. ქვავის კულტურის შემოტანა<br>13. სასაწყობე მეურნეობის განვითარება<br>14. სანერგე მეურნეობის განვითარება | 1. მიგრირებული პირუტყვის მიერ შემოტანილი სხვა და სხვა სახის დაავადებები.<br>2. ბუნებრივი საფრთხეები (მაგ.: სეტყვა)<br>3. კაცრი კლიმატური პირობები, განსაკუთრებით ზამთრის სეზონზე<br>4. ახალგაზრდების მიგრაცია<br>5. ეროზირებული საძოვრები<br>6. აუთვისებელი სათიბები<br>7. სოციალურ-პოლიტიკური არასტაბილურობა<br>8. ინფლაცია<br>9. ეთნიკური კონფლიქტები<br>10. დროებით სარგებლობაში არსებული მიწების ჩამორთმევის საშიშროება<br>11. იაფფასიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი.<br>12. დაბალი ხარისხის სათესლე მასალის იმპორტი |

# სოფლის მეურნეობა - ამოცანები და სტრატეგიული ღონისძიებები

**ამოცანა 1.1**

წალკის მუნიციპალიტეტში ფერმერების ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

**დასაბუთება** - სოფლის მეურნეობის დარგის პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები ადამიანებისა და ფერმერების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ წალკის მოსახლეობის უმრავლესობა შინამეურნეობას მისდევს, მცირეა იმ ფერმერთა რიცხვი, რომლებიც საჭირო ცოდნითა და უნარებით არიან აღჭურვილნი. ფერმერებს არ აქვთ ინფორმაცია თანამედროვე სასოფლო-¬სამეურნეო პრაქტიკისა და ტექნოლოგიების შესახებ, რასაც შეუძლია, მნიშვნელოვნად გაზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და ფერმერების უნარების განვითარება მაღალი ხარისხის, სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას უზრუნველყოფს.

| სტრატეგიული აქტივობა 1.1.1 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | წალკის მუნიციპალიტეტში ფერმერების ცნობიერების ამაღლება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობების მეშვეობით. |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | სტრატეგიული აქტივობის განხორციელებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია წალკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული და ეკონომიკურად მომგებიანი დარგების გამოვლინება. სტრატეგიული აქტივობის განხორციელება შესაძლოა, წარიმართოს შემდეგ ძირითადი მიმართულებებით:<br><br>1. საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა: მნიშვნელოვანია, რომ დარგის ექსპერტებმა კვლევის საფუძველზე შეისწავლონ და გამოავლინონ, თუ რა თანამედროვე ტექნოლოგიები არსებობს შერჩეული პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარებისთვის<br>2. აგროსკოლა: მნიშვნელოვანია პრაქტიკული აგროსკოლის მოწყობა, რომლის ფარგლებშიც პრაქტიკული სავარჯიშოებით ადგილზე შეძლებენ, დარგის სპეციალისტებთან ერთად შეისწავლონ მცენარეების დარგვისა და მოვლის მეთოდები, მოსავლის აღებასთან დაკავშირებული აქტივობები, სათესლე მასალისა და სასუქების გამოყენების პრაქტიკა, მცენარეთა დაავადებისგან დაცვა და სხვ. |

| | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | 3. საერთაშორისო გამოცდილების მიღება/გაზიარება: აუცილებელია, აგროსკოლის გამორჩეულმა მონაწილეებმა (1-2) საზღვარგარეთ აიმაღლონ კვალიფიკაცია მათთვის საინტერესო პრიორიტეტული მიმართულებით. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის დაფინანსების პირობა იქნება კურსის დასრულების შემდეგ ტრენინგები/პრაქტიკული აქტივობების ჩატარება და გამოცდილების გაზიარება ადგილობრივი მოსახლეობისთვის თავიანთ თემსა თუ სოფელში |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფები** | ფერმერები, განსაკუთრებით - ახალგაზრდა (18-30) ფერმერები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და ქალი ფერმერები; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაინტერესებული პირები |
| **პასუხისმგებელი ორგანოები** | წალკის LAG-ი, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | ამ აქტივობის ფარგლებში LAG ჩართული იქნება ოთხ აქტივობაში: (1) პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო მიმართულებების გამოვლენა, (2) აგროსკოლის ორგანიზება, (3) სკოლის წარმატებული მონაწილეების შერჩევა, (4) საზღვარგარეთ მიღებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებისთვის საჭირო ტრენინგებისა და სხვა აქტივობების ორგანიზება/მხარდაჭერა |
| **სხვა პარტნიორი ორგანიზაცია** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები |
| **განხორციელების ვადა** | **2020-2022** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა<br>• ჩატარებული პრაქტიკული სავარჯიშოების რაოდენობა<br>• სოფლის მეურნეობის სფეროში მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის - ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის წამახალისებელი კამპანიების რაოდენობის გაზრდა<br>• სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართული და ამ სფეროთი დაინტერესებული ქალებისთვის მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსებისა და საგრანტო მექანიზმების შექმნა<br>• სოფლის მეურნეობის სფეროთი ქალებისა და ახალგაზრდების (18-30) დაინტერესების გასაზრდელად საინფორმაციო კამპანიების წარმოება<br>• შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა<br>• სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაზრდილი პროდუქტიულობა<br>• ფერმერების გაზრდილი შემოსავალი |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

| სტრატეგიული აქტივობა 1.1.2 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | ფერმერების ცნობიერების ამაღლება პროდუქციის რეალიზაციის ბაზრებზე წვდომისა და რეგულაციების შესახებ |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | სტრატეგიული აქტივობის განხორციელება შეიძლება წარიმართოს შემდეგნაირად:<br>1. გადასამზადებელი კურსის შექმნა: მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის შექმნა, რომელიც მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა: სარეალიზაციო ბაზრები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზების სტანდარტები და რეგულაციები, მათ შორის - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში არსებული მოთხოვნები და ვალდებულებები, ასევე, მარკეტინგი და პროდუქტების პოპულარიზაციის მექანიზმები.<br>2. პრაქტიკული სავარჯიშოები: მნიშვნელოვანია მიღებული ინფორმაციის გამოყენება პრაქტიკული აქტივობების ფარგლებში. მსგავსი სავარჯიშოების დროს ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ, ექსპერტებთან ერთად ინფორმაცია მიიღონ/შეარჩიონ მათთვის პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზებისთვის შესაფერისი ფორმა, რომელიც აკმაყოფილებს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე არსებულ სტანდარტებს.<br>3. ბიზნესპროექტი: მნიშვნელოვანია, რომ გადასამზადებელ კურსს ჰქონდეს წამახალისებელი კომპონენტი. კურსის დასრულებისას მონაწილეებმა უნდა წარადგინონ ბიზნესპროექტი, თუ როგორ უნდა მოახდინონ მისთვის პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის, დამუშავება/შეფუთვა, მარკეტინგი და რეალიზაცია. საუკეთესო იდეის ავტორმა, შესაძლოა, მიიღოს დაფინანსება. |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფები** | ფერმერები, განსაკუთრებით - ახალგაზრდა ფერმერები (18-30), ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და ქალი ფერმერები; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაინტერესებული პირები |
| **პასუხისმგებელი ორგანოები** | წალკის LAG-ი, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პროექტი აწარმოე საქართველოში, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | ამ აქტივობის ფარგლებში LAG-ი ჩართული იქნება სამ აქტივობაში: (1) გადასამზადებელი კურსისთვის დარგის სპეციალისტების შერჩევა; (2) პრაქტიკული სავარჯიშოების დაგეგმვა/ორგანიზება; (3) გამარჯვებული ბიზნესპროექტის შერჩევა |
| **სხვა პარტნიორი ორგანიზაცია** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, კერძო სექტორი |

| განხორციელების ვადა | 2020-2022 |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • შექმნილი გადასამზადებელი კურსების რაოდენობა<br>• ჩატარებული პრაქტიკული სავარჯიშოების რაოდენობა<br>• სოფლის მეურნეობის სფეროში მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის - ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის წამახალისებელი კამპანიების რაოდენობის გაზრდა<br>• სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართული და ამ სფეროთი დაინტერესებული ქალებისთვის მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსებისა და საგრანტო მექანიზმების შექმნა<br>• სოფლის მეურნეობის სფეროთი ქალებისა და ახალგაზრდების დაინტერესების გასაზრდელად საინფორმაციო კამპანიების ჩატარება<br>• შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა<br>• ფერმების გაზრდილი შემოსავალი |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

**ამოცანა 1.2**

მცენარეებისა და ცხოველების ჯიშობრივი გაუმჯობესების ხელშეწყობა

**დასაბუთება** - სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქტიულობის დაბალი დონის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, საჭირო უნარებისა და ცოდნის ნაკლებობასთან ერთად, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშობრივი დეგრადაციის საკითხი წარმოადგენს. აუცილებელია შესაბამისი რესურსის წარმართვა სანაშენე საქმიანობის, თესლისა და სარგავი მასალის განვითარების ხელშეწყობისთვის. მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ბაზრების ხარისხიანი სათესლე და სარგავი მასალით უზრუნველყოფა და ხარისხის მკაცრი კონტროლი, ხოლო მეორე მხრივ, ფერმერებისთვის საჭირო ცოდნის მიწოდება იმისათვის, რომ შეძლონ ხარისხიანი პროდუქციის იდენტიფიცირება და შეძენა. მუნიციპალიტეტში არანაკლებ მწვავედ დგას მეცხოველეობის წინაშე არსებული გამოწვევები. საგრძნობლადაა დაკნინებული ცხოველთა გენოფონდიც, რაც არასათანადო კვებასა და შესაბამისი ვეტერინარული მომსახურების არქონის პირობებში განაპირობებს ცხოველთა დაბალ პროდუქტიულობას და ხშირ დაავადებებს. ამასთან, დაბალია ფერმერთა ცნობიერება ცხოველების ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით, რაც დამატებით კითხვებს ბადებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უვნებლობისა და ხარისხის თვალსაზრისით.

| **სტრატეგიული აქტივობა 1.2.1** | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | მეცხოველეობის დარგში კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | სტრატეგიული აქტივობის განხორციელება შეიძლება წარიმართოს შემდეგნაირად:<br>1. ვეტერინარული მომსახურების განვითარება: აღსანიშნავია, რომ საქართველოში ვეტერი-ნარული მომსახურება მნიშვნელოვნად ექცევა კერძო სექტორის მიერ განსახორციელებელ აქტივობებს შორის. თუმცა ხშირად რეგიონებში დგება ვეტერინარული მომსახურების საჭიროება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვეტერინარული მომსახურება და სერვისები განვითარდეს სახელმწიფო და კერძოს სექტორის თანამშრომლობითა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.<br>2. მეცხოველეობის დარგში კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვისა და განვი-თარების კუთხით კვალიფიკაციის ამაღლება: აუცილებელია ვეტერინარული მომსახურებით დაინტერესებული ადამიანების იდენტიფიცირება სოფლად. მათი გადამზადება და ინფორმაციის მიწოდება ცხოველების დაავადებათა პრევენციის, გამოვლენის თანამედროვე პრაქტიკის შესახებ, მათ შორის - ცხოველების მოვლა-მზრუნველობის საერთაშორისო პრაქტიკასთან დაკავშირებით.<br>3. ჯიშობრივი გაუმჯობესების მხარდაჭერა: მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ვაქცინებისა და ხელოვნური განაყოფიერების კომპლექ-ტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, ხოლო მეორე მხრივ ადგილზე გადამზადება ხელოვნური განაყოფიერებისა და ვაქცინაციის პრაქტიკაში |

| | |
|---|---|
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფები** | ადგილობრივი ფერმერები, განსაკუთრებით - ახალგაზრდა (18-30) ფერმერები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და ქალი ფერმერები; კოოპერატივები |
| **პასუხისმგებელი ორგანოები** | წალკის LAG-ი, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, კერძო ბიზნესი, წალკის მუნიციპალიტეტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | ამ აქტივობის ფარგლებში LAG ჩართული იქნება შემდეგ აქტივობებში: (1) კერძო ბიზნესთან თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება; (2) ვეტერინარიის შესწავლით დაინტერესებული ფერმების გადამზადება; (3) მოსახლეობისთვის საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა |
| **სხვა პარტნიორი ორგანიზაცია** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კერძო ბიზნესი, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები; |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • დაავადებული ცხოველების რაოდენობის შემცირება<br>• ცნობიერების ამაღლება ხელოვნური განაყოფიერებისა და ცხოველთა დაავადებების სფეროებში<br>• გადამზადებული ფერმერების რაოდენობის ზრდა<br>• გაზრდილი პროდუქტიულობა, ძირითადად - რძის წარმოების მიმართულებით<br>• ექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა<br>• ხელოვნური განაყოფიერებისა და ვაქცინების საჭირო რაოდენობით მომარაგების უზრუნველყოფა |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

| სტრატეგიული აქტივობა 1.2.2 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | წალკის მუნიციპალიტეტის ორგანული თესლებითა და სასუქებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | სტრატეგიული აქტივობის განხორციელება შეიძლება წარიმართოს შემდეგნაირად:<br>1. პრიორიტეტული კულტურების გამოვლენა: მნიშვნელოვანია, დარგის ექსპერტებმა/სპეციალისტებმა გამოავლინონ კომერციული თვალსაზრისით ყველაზე მომგებიანი კულტურები; აგრეთვე ისე კულტურები, რომლებიც ნიშური (რეგიონისთვის დამახასიათებელი) სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას იძლევა.<br>2. ინფორმაციითა და ხარისხიანი პროდუქციით უზრუნველყოფა: მნიშვნელოვანია, ფერმერებს ჰქონდეთ ინფორმაცია ბაზრებში ხელმისაწვდომი ხარისხიანი სათესლე მასალისა და სასუქების შესახებ. ამასთან აუცილებელია ფინანსური მხარდაჭერა მაღალი ხარისხის თესლებისა და სასუქების შეძენის პროცესში.<br>3. პროფესიული სწავლება/გადამზადება: მნიშვნელოვანია აგრეთვე ფერმერების ადგილზე გადამზადება დარგვასა და სასუქების სათანადო გამოყენებაში. მაღალი ხარისხის, სერტიფიცირებული და ადაპტირებული სათესლე მასალის გამოყენების პრაქტიკის გაზიარება. |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფები** | ადგილობრივი ფერმერები, განსაკუთრებით - კოოპერატივები, LAG-ის წევრი ფერმერები |
| **პასუხისმგებელი ორგანოები** | წალკის LAG-ი, წალკის მუნიციპალიტეტი, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | ამ აქტივობის ფარგლებში წალკის LAG-ი ადვოკატირებას გაუწევს და მოიძიებს დამატებით ფინანსებს, რათა განახორციელოს პროექტი ფერმერებისთვის თესლისა და სასუქების უზრუნველსაყოფად. ამასთან, LAG-ი შეიმუშავებს ადვოკატირებისა და დაფინანსების მოპოვების სპეციალურ სამოქმედო გეგმას, რომელსაც შესაბამისი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განახორციელებენ |
| **სხვა პარტნიორი ორგანიზაცია** | წალკის მუნიციპალიტეტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თესლეულითა და სასუქებით მოვაჭრეები, ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, დონორი ორგანიზაციები |

| განხორციელების ვადა | 2022 – 2024 |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები | • მემცენარეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა<br>• ფერმერების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ა.შ.) ცნობიერების ამაღლება თესლეულისა და სასუქების გამოყენების პროცედურებში<br>• პროფესიული პროგრამების/მოკლევადიანი კურსების რაოდენობის ზრდა მემცენარეობაზე<br>• თესლეულისა და სასუქების გამოყენების პროცედურებში გადამზადებული ფერმერების რაოდენობის ზრდა (სეგრეგაცია სქესის, ასაკის ნიშნით)<br>• სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაზრდილი მოსავლიანობა;<br>• სათესლე მასალისა და სასუქების საჭირო რაოდენობის მობილიზაცია;<br>• შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების გაზრდილი რაოდენობა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით) |
| პრიორიტეტი | მაღალი |

**ამოცანა 1.3**

სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში

**დასაბუთება** - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარანტირებული მოსავლის მისაღებად აუცილებელია საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება. უპირველესად, მხედველობაშია მისაღები კლიმატურ პირობებთან შესაბამისი სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია და განვითარება. მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ აუცილებელია ფერმერების თანამედროვე საირიგაციო სისტემით აღჭურვა, განსაკუთრებით კი - აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი კლიმატის პირობებში. ამასთან, მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების ნაკლებობა. აღნიშნული ინფრასტრუქტურული პრობლემების ნაწილობრივი გადაჭრაც კი მნიშვნელოვნად გაზრდიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას.

| **სტრატეგიული აქტივობა 1.3.1** | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | სარწყავი სისტემების განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | სტრატეგიული აქტივობის განხორციელება შეიძლება წარიმართოს შემდეგნაირად:<br>1. არსებული ინფრასტრუქტურის ანალიზი: მნიშვნელოვანია, გაკეთდეს არსებული სარწყავი ინფრასტრუქტურის ანალიზი და ჩატარდეს კვლევა, თუ სასოფლო-სამეურნეო მიწების რა ნაწილი არის უზრუნველყოფილი სარწყავი ინფრასტრუქტურით.<br>2. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა: იმ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისთვის, რომლებიც საჭიროებს სარწყავი სისტემებით აღჭურვას, აუცილებელია თანამედროვე საწყავი სისტემების კვლევა და ანალიზი.<br>3. ადვოკატირება: ბოლო ფაზაზე მნიშვნელოვანია იმ სექტორისა და რგოლების იდენტიფიცირება, რომლებიც მუნიციპალიტეტის შესაბამისი სარწყავი სისტემით აღჭურვას შეძლებენ |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფები** | ფერმერები, განსაკუთრებით - ახალგაზრდა (18-30) და ქალი ფერმერები |
| **პასუხისმგებელი ორგანოები** | მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | ამ აქტივობის ფარგლებში წალკის LAG-ი კოორდინაციას გაუწევს ინფრასტრუქტურის ანალიზსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას. საბოლოო ეტაპზე LAG-ი ჩაერთვება ადვოკატირების კამპანიაში |
| **სხვა პარტნიორი ორგანიზაცია** | სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი |

| განხორციელების ვადა | 2020-2024 |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • სარწყავი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო მიწების რაოდენობის ზრდა<br>• მოდერნიზებული სარწყავი სისტემების რაოდენობის ზრდა<br>• სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ზრდა<br>• სასოფლო-სამეურნეო სექტორში წარმოებული მოცულობის ზრდა<br>• ფერმერების შემოსავლების ზრდა<br>• თანამედროვე პრაქტიკისა და ტექნოლოგიების მცოდნე ფერმერების რაოდენობის ზრდა |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

| სტრატეგიული აქტივობა 1.3.2 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | გადამმუშავებელი საწარმოს შექმნის ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | აღნიშნული აქტივობის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი მიმართულებები:<br>1. კვლევის ჩატარება: უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მახასიათებლებისა და წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გათვალისწინებით განისაზღვროს, რა ტიპის გადამმუშავებელი საწარმოა შესაბამისი. რა ტიპის მოთხოვნა არსებობს ბაზარზე და როგორია თანამედროვე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა/ ტექნოლოგიები მსგავსი საწარმოს მშენებლობისთვის.<br>2. ფინანსური მხარდაჭერა: სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების დაფინანსებას უზრუნველყოფს, საჭიროებს ბენეფიციარის 50%-იან თანამონაწილეობას, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაფინანსების მოძიების კუთხით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კერძო ბიზნესის დაინტერესება აღნიშნული მიმართულებით, მათ შორის - პოტენციურ მიმწოდებლებთან კომუნიკაციის ფასილიტაცია.<br>3. ტექნიკური მხარდაჭერა: მნიშვნელოვანია მხარდაჭერა ფერმერებს ბიზნესგეგმის შემუშავებისა და პოტენციურ პარტნიორების მოძიების პროცესში. |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | ფერმერები, განსაკუთრებით - ახალგაზრდა (18-30) და ქალი ფერმერები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ფერმერები, კერძო სექტორის წარმომადგენლები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), შესაბამისი |

| | |
|---|---|
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | ამ აქტივობის ფარგლებში LAG-ი ჩართული იქნება სამ აქტივობაში: (1) კვლევის კოორდინაციაში; (2) ფინანსური რესურსების მოპოვებისთვის შესაბამისი პროცედურების მხარდაჭერის პროცესში: (3) გრანტის მოსაპოვებლად ტექნიკური მხარდაჭერის გაწევაში |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA); ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2022** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • ახალი მცირე გადამამუშავებელი საწარმოები<br>• პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დადგენილი გადამმუშავებელი საწარმოების რაოდენობისა და სახეობათა ზრდა<br>• ადგილობრივი წარმოების მოცულობის ზრდა<br>• არსებული საწარმოების, განსაკუთრებით - ქალებისა და ახალგაზრდების საკუთრებაში არსებული გაზრდილი მაჩვენებლები<br>• მოწყვლადი ჯგუფებისთვის შექნილი (ქალები, ახალგაზრდების, შშმპ და ა.შ.) სამუშაო ადგილების რაოდენობა<br>• საწარმოებში დასაქმებული სამუშაო ძალის, განსაკუთრებით - ქალებისა და ახალგაზრდების, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის განმავითარებელი პროგრამების რაოდენობა<br>• მაღალანაზღაურებად პოზიციებზე დასაქმებული მოწყვლადი ჯგუფების (ქალების, ახალგაზრდების, შშმპ და ა.შ.) რაოდენობა |
| **პრიორიტეტი** | საშუალო |

| სტრატეგიული აქტივობა 1.3.3 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | სამაცივრე და სასაწყობე ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | აღნიშნული აქტივობის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი მიმართულებები:<br>1. საბაზისო კვლევის ჩატარება: უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მახასიათებლებისა და წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გათვალისწინებით განისაზღვროს, რა ტიპის სამაცივრე და სასაწყობე ინფრასტრუქტურაზეა მოთხოვნა<br>2. ფინანსური მხარდაჭერა: სახელმწიფო პროგრამა, რომელიც შემნახველი საწარმოების დაფინანსებას უზრუნველყოფს, საჭიროებს ბენეფიციარის 50%-იან თანამონაწილეობას, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაფინანსების მოძიების კუთხით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კერძო ბიზნესის დაინტერესება აღნიშნული მიმართულებით<br>3. ტექნიკური მხარდაჭერა: მნიშვნელოვანია, ბიზნესგეგმის შემუშავების პროცესსა და პოტენციური პარტნიორების მოძიების პროცესში ფერმერების მხარდაჭერა |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | ფერმერები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ფერმერები, კერძო სექტორის წარმომადგენლები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), შესაბამისი |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | ამ აქტივობის ფარგლებში LAG-ი ჩართული იქნება სამ აქტივობაში; (1) კვლევის კოორდინაციაში; (2) ფინანსური რესურსების მოპოვებისთვის შესაბამისი პროცედურების მხარდაჭერის პროცესში; (3) გრანტის მოსაპოვებლად ტექნიკური მხარდაჭერის გაწევაში |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA); ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • სასაწყობე ობიექტების რაოდენობა<br>• შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა<br>• ადგილობრივი ნედლი მასალის რაოდენობა, რომელიც მიეწოდა სასაწყობე ობიექტებს<br>• ფერმერების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდების და ა.შ.) ცნობიერების ამაღლება სამაცივრე და სასაწყობე ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროებში<br>• პროფესიული პროგრამების/მოკლევადიანი კურსების რაოდენობა, გადამზადებული ფერმერების რაოდენობა (სეგრეგირებული სქესის, ასაკის ნიშნით) |
| **პრიორიტეტი** | საშუალო |

**ამოცანა 1.4**

სოფლის მეურნეობის აუცილებელი მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფა წალკის მუნიციპალიტეტში

**დასაბუთება** - მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა. რაც, ერთი მხრივ, პრობლემურია მოსახლეობისთვის ფიზიკური ძალის გამოყენების თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ - მიწის დამუშავებაზე დახარჯული დროითი რესურსებითაც. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მოდერნიზება, უპირველესად კი, მუნიციპალიტეტის საჭირო მანქანა-დანადგარებით აღჭურვა შეამცირებს ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, დაზოგავს მიწის დამუშავებისთვის დახარჯულ დროს და ხელს შეუწყობს მიწის დამუშავების პროცესის ეფექტიანობის ამაღლებას.

| **სტრატეგიული აქტივობა 1.4.1** | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | წალკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობისთვის აუცილებელი მანქანა-დანადგარების უზრუნველყოფის მხარდაჭერა |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | სტრატეგიული აქტივობის წარმართვა შესაძლებელია სამი ძირითადი მიმართულებით:<br>1. კომპლექსური კვლევა/ანალიზი - საჭიროა, მუნიციპალიტეტში ჩატარდეს კვლევა, რომელიც შეისწავლის არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და განსაზღვრავს საჭირო ტექნიკის რაოდენობას.<br>2. სესხის მოპოვებისთვის ტექნიკური მხარდაჭერა - მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირება, თუ რა პროცედურები უნდა გაიარონ და რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ საჭირო ტექნიკის შეძენისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსების მისაღებად, მათ შორის - სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის პროცესში.<br>3. ადვოკატირება - საკითხის აქტუალიზაციისთვის მნიშვნელოვანია ადვოკატირების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასევე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რომ მოხდეს რეგიონზე მორგებული მექანიზაციაზე წვდომის მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება. |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | ფერმერები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ფერმერები, კერძო სექტორის წარმომადგენლები |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | ფერმერები, მათ შორის - ახალგაზრდა (18-30), ქალი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ფერმერები. |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები |

| | |
|---|---|
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | აღნიშნული აქტივობის განხორციელებისთვის წალკის LAG-მა უნდა განახორციელოს:<br>1. კვლევის კოორდინაცია: სტრატეგიული აქტივობის განხორციელებისთვის შესაძლებელია პროექტის შემუშავება. LAG-ის უმთავრესი როლი იქნება ექპერტების მოძიება და ტექნიკური ანალიზისთვის საჭირო კვლევის კოორდინაცია.<br>2. ტექნიკური მხარდაჭერა: LAG-ის წევრები სპეციალურად ორგანიზებული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ტექნიკურ მხარდაჭერას გაუწევენ ფერმერებს ფინანსური რესურსების მოძიებისთვის საჭირო პროცედურების შესასრულებლად. აუხსნიან სესხის მიღების პროცესს, მიაწვდიან საჭირო ინფორმაციას და შეამოწმებენ განაცხადის შესაბამისობას არსებულ მოთხოვნებთან.<br>3. ადვოკატირება: შემუშავდება ადვოკატირებისა და დაფინანსების მოპოვების სპეციალური სამოქმედო გეგმა, რომელსაც განახორციელებენ LAG-ის წევრები. |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | წალკის მუნიციპალიტეტი, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და პროგრამების წარმომადგენლები |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2022** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • გაცემული სესხების მოცულობა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით)<br>• ფერმერების მიერ მიწის დამუშავებისთვის დახარჯული დროისა და ფიზიკური რესურსის შემცირება<br>• პროფესიული პროგრამების/მოკლევადიანი კურსების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისთვის აუცილებელი მანქანა-დანადგარების მოხმარების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენას<br>• სოფლის მეურნეობისთვის აუცილებელი მანქანა-დანადგარების ექსპოატაციის მიზნით გადამზადებული ფერმერების რაოდენობა (სეგრეგაცია სქესის, ასაკის ნიშნით)<br>• სოფლის მეურნეობის წარმოების მოდერნიზაცია<br>• სოფლის მეურნეობის ერთწლოვანი კულტურების გაზრდილი წარმოება<br>• სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაზრდილი მოცულობა<br>• დამუშავებული მიწის ფართობი (სქესის, ასაკის ნიშნით სეგრეგირებული) |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • ადგილობრივი ფერმერების (სქესის, ასაკის ნიშნით სეგრეგირებული) საშუალო შემოსავლების ზრდა ერთი წლის განმავლობაში<br>• ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა (სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით სეგრეგირებული)<br>• ფერმების გაზრდილი ხელმისაწვდომობა მანქანა-დანადგარებზე |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

**ამოცანა 1.5**

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა სექტორის (მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, მეკურდღლეობა და სხვ.) განვითარების ხელშეწყობა.

**დასაბუთება** - ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ წალკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის შემდეგი ძირითადი მიმართულებებია განვითარებული: მესაქონლეობა, მეკარტოფილეობა, მარცვლეული კულტურები, მეფუტკრეობა. თუმცა მოსახლეობა მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის სხვა სექტორების მხარდაჭერა და კიდევ უფრო მეტი განვითარება. სოფლის მეურნეობის სხვა სექტორების განვითარებას პოზიტიური შედეგი შეიძლება ჰქონდეს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რიცხვისა და სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართულთა შემოსავლების ზრდის მიმართულებით.

| **სტრატეგიული აქტივობა 1.5.1** | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | სოფლის მეურნეობის ახალ სექტორებში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | აღნიშნული სტრატეგიული აქტივობა უნდა განხორციელდეს შემდეგი ეტაპების მიხედვით:<br>1. კოოპერაციის პოპულარიზაცია: აღნიშნული აქტივობის განხორციელებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ახალ სექტორებში კოოპერაციის პოპულარიზაცია. აუცილებელია, ფერმერებს მიეწოდოთ ინფორმაცია კოოპერატიული წარმოებისა და მსგავსი პრაქტიკის სარგებლიანობის შესახებ.<br>2. სექტორული ტრენინგები: აუცილებელია დაინტერესებული ფერმერების დაჯგუფება გამოვლენილი პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, და მათთვის კოოპერატივების შექმნისა და მართვისთვის შესაბამისი გადამზადების კურსების ჩატარება.<br>3. კოოპერატივების სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მიღების მხარდაჭერა: მნიშვნელოვანია ფერმერებისთვის ინფორმაციის მიწოდება კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების შესახებ. ასევე - მხარდაჭერა გაეწიოთ კოოპერატივების დაფუძნებისა და სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობისთვის აპლიკაციის შევსების პროცესში |

| | |
|---|---|
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | ფერმერები, მათ შორის - ახალგაზრდა (18-30), ქალი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ფერმერები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | აღნიშნული აქტივობის განხორციელებისთვის წალკის LAG-მა უნდა მოახდინოს: (1) სოფლის მეურნეობის ახალი სექტორებით დაინტერესებული პირების იდენტიფიცირება და დაჯგუფება სექტორების მიმართულებით; (2) კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და მართვის შესახებ შესაბამისი გადასამზადებელი კურსების ორგანიზება; (3) ფერმერების მხარდაჭერა სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მიღების პროცესში. |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | წალკის მუნიციპალიტეტი, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და პროგრამების წარმომადგენლები |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2022** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ახალგაზრდების/ქალების (მათ შორის - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების) რიცხვის ზრდა<br>• სოფლის მეურნეობის წარმოების მოდერნიზაცია.<br>• კოოპერატივების პოპულარიზაცია<br>• კოოპერატივების გაზრდილი რიცხვი<br>• სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაზრდილი მოცულობა<br>• ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა (სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით სეგრეგირებული) |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

# პრიორიტეტული სფერო 2 - ტურიზმი და ეკონომიკური განვითარება

## ტურიზმი და ეკონომიკური განვითარება - SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| 1. გეოგრაფიული მდებარეობა (დედაქალაქთან სიახლოვე)<br>2. ნაყოფიერი მიწა, რაც საშუალებას იძლევა, ბევრი შხამ-ქიმიკატის და სასუქის გამოყენების გარეშე ვაწარმოოთ ნატურალური პროდუქტები<br>3. 600-ზე მეტი ისტორიული და კულტურული ძეგლი<br>4. მულტიკულტურული გარემო<br>5. ზომიერი კლიმატი<br>6. ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები (ბერთაში ქვის აუზი მკურნალი თევზებით, დაშბაშის კანიონი, წმ. სოფიას ხე, ბერთა, ჭიქიანის მთა, ბევრი ტბა)<br>7. მრავალფეროვანი ფლორა<br>8. მრავალფეროვანი სამზარეულო სხვადასხვა კუთხისა (სვანეთი და აჭარა) და ქვეყნის (სომხეთი, აზერბაიჯანი, საბერძნეთი)<br>9. ფოლკლორის კულტურა (სვანებით დაკომპლექტებული ანსამბლი)<br>10. ყოველწლიური ტრადიციული ღონისძიებების / დღესასწაულების არსებობა (ჰავასობა - სომხური, ლამპრობა - ქართული/სვანური)<br>11. სხვადასხვა კულტურის მიერ იდენტობისა და ტრადიციების შენარჩუნება | 1. სუსტი ინფრასტრუქტურა (სასტუმროები, კვების ობიექტები, გზები)<br>2. ენობრივი ბარიერი (ინგლისურის ცოდნის დაბალი დონე)<br>3. წალკის ტურისტულ პოტენციალზე ცნობიერების დაბალი დონე როგორც ადგილობრივ, ასევე შემოსულ ტურისტებში<br>4. ტურისტული მომსახურების სერვისების არქონა<br>5. ტურისტული ტექნიკის არარსებობა (ველოები, მოპედები, ნავები და ა.შ)<br>6. კვალიფიციური კადრების არყოლა (გიდები)<br>7. არასაკმარისი ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე<br>8. ტურისტული მომსახურების ცენტრის არქონა<br>9. მოძველებული მარკირებები<br>10. საინფორმაციო ნიშნების არარსებობა<br>11. საპიკნიკე / საკემპინგე ადგილებისა და სამთო თავშესაფრების არარსებობა<br>12. ქსელური აფთიაქებისა და მარკეტების არარსებობა<br>13. გასართობი ცენტრების არარსებობა<br>14. გაუმართავი სატრანსპორტო სისტემა<br>15. გაზიფიცირებისა და წყლის პრობლემა |
| **შესაძლებლობები** | **საფრთხეები** |
| 1. ეთნოტურიზმის განვითარების შესაძლებლობა, მრავალფეროვანი ეთნოსიდან გამომდინარე<br>2. მრავალფეროვანი ტურისტული მომსახურებების განვითარება (თევზჭერა, ველოტურიზმი, საცხენოსნო ტურიზმი)<br>3. ნატურალური პროდუქტის მწარმოებელი საწარმოების განვითარება<br>4. მრავალკულტურული ტურისტული პროდუქტების განვითარება (მრავალფეროვანი სამზარეულო, მულტიკულტურული დღესასწაულები) გასტრონომიული ტურიზმი, აგრო და ეკოტურიზმი | 1. სხვადასხვა ეთნოსს შორის პერიოდულად არსებული კონფლიქტები<br>2. დაბინძურებული გარემო (მდინარეები, ტყეები)<br>3. ცოდნისა და გამოცდილების არარსებობა ტურიზმის მიმართულებით |

# ტურიზმი და ეკონომიკური განვითარება - ამოცანები და სტრატეგიული ღონისძიებები

**ამოცანა 2.1**

წალკის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის ხელშეწყობა

**დასაბუთება** - როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე წალკის უნიკალური და მრავალფეროვანი ტურისტული რესურსის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება.[1] დაინტერესებული პირებისთვის წალკის ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაცია მიუწვდომელი, ან ხშირ შემთხვევაში მოძველებულია.[2] ვიზიტორების მოსაზიდად მნიშვნელოვანია აგრეთვე რეგულარული სარეკლამო და ცნობადობის ასამაღლებელი კამპანიების ეფექტიანად განხორციელება. გარდა ამისა, წალკაში არ არსებობს ტურისტული საინფორმაციო ცენტრი,[3] რომელიც კვალიფიციური მომსახურებების პაკეტს შესთავაზებს ვიზიტორებს. მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდა ტურიზმის განვითარების მიმართულებით.[4]

CENN - ის მიერ ჩატარებული წალკის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალისა და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის მიხედვით, გამოიკვეთა აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტურისტული რესურსების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ინიციატივების განხორციელების საჭიროება, მათი ინტერესისა და ტურისტულ საქმიანობაში ჩართულობის გასაზრდელად.

| სტრატეგიული აქტივობა 2.1.1 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | წალკის მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული პროდუქტების შესახებ ცნობადობის გაზრდა და პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | აქტივობა გულისხმობს ისეთი ინიციატივების მხარდაჭერას, რომლებიც დასაბუთებულად და ეფექტიანად მოახდენს წალკის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდას. ადგილობრივ დონეზე რეკომენდებულია მუნიციპალიტეტის როლის გაზრდა, განსაკუთრებით - მოსახლეობის ტურისტული საქმიანობით დაინტერესების ეტაპზე. |

[1] წალკის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2016 – 2021.

[2] წალკის ტურისტული პოტენციალის კვლევა. CENN 2019.

[3] წალკის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის (2016 – 2021) სამოქმედო გეგმის მიხედვით (გვ. 33), წალკაში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის გახსნა დაგეგმილი იყოს 2018 წელს, თუმცა დღემდე გახნსილი არ არის. აღსანიშნავია, რომ ტურისტული საინფორმაციო ცენტრების კონცეფციის მიხედვით, ცენტრის გახსნის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც გაზრდილია ტურისტული ნაკადი. შესაბამისად, რეკომენდებულია LAG-ის მიერ აღნიშნული კომპონენტის ადვოკატირება ვიზიტორების რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ.

[4] წალკის მუნიციპალიტეტის მერიაში არ არსებობს ტურიზმის განვითარების სამსახური და ტურისტულ საქმიანობას კოორდინირებას უწევს ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახური

| | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | ვიზიტორების მოსაზიდად შესაძლოა ისეთი არხების გამოყენება, როგორებიცაა ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, სოციალური მედია, გარე რეკლამა, პიარკამპანია, ადგილობრივი პროდუქტის შესაბამისი ბრენდირება, ფესტივალების ჩატარება, საინფორმაციო მასალის შექმნა. პრეს და ინფოტურების ორგანიზება, რის შედეგადაც შეიქმნება პოზიტიური სტატიები, გადაცემები, და/ან დოკუმენტური ფილმები წალკის მუნიციპალიტეტის შესახებ |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | წალკის მუნიციპალიტეტში ტურისტულ საქმიანობაში ჩართული სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის პირები |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | წალკის მუნიციპალიტეტში ტურისტულ საქმიანობაში ჩართული სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის პირები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის LAG-ი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ბოლნისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი,[5] წალკის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახური |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | 1. შესაბამისი ექსპერტული დახმარებით LAG -ი თავად ეწევა პოპულარიზაციის საქმიანობას, ტურიზმის მიმართულებაზე პასუხისმგებელი LAG-ის წევრები ახორციელებენ მიზნობრივ კამპანიებს, გამოფენებში მონაწილეობით, პრეს და ინფოტურების ორგანიზებითა და სხვა გზებით<br>2. LAG -ი აფინანსებს ისეთ ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია მიზნობრივი სეგმენტისთვის წალკის მუნიციპალიტეტის ცნობადობისა და პოპულარობის გაზრდაზე |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | ტურისტული სააგენტოები, სარეკლამო სააგენტოები, ჟურნალისტთა ქსელები |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • ადგილობრივი მოსახლეობის დაინტერესების მიზნით განხორციელებული ინიციატივების რაოდენობა<br>• წალკის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ცნობადობა გაზრდილია<br>• ტურისტების რაოდენობა გაზრდილია მიზნობრივ ტურისტულ ობიექტებზე (ობიექტები, რომელთა პოპულარიზებაც მოხდა)<br>• ტურისტების რაოდენობა გაზრდილია მიზნობრივ ტურისტულ ობიექტებზე (ობიექტები, რომელთა პოპულარიზებაც მოხდა) |

[5] ამჟამად ბოლნისის საინფორმაციო ცენტრი წალკის მუნიციპალიტეტს შესაბამის მომსახურებას უწევს

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • ტურისტულ საქმიანობაში ჩართული ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილია<br>• სარეკლამო და საინფორმაციო პროდუქტების რაოდენობა და გავრცელების მასშტაბი<br>• სარეკლამო ღონისძიებების რაოდენობა და მასშტაბი |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

| **სტრატეგიული აქტივობა 2.1.2** | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | ტურისტულ საქმიანობაში ჩართული პირების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა ვიზიტორებისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების მიზნით |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | აქტივობა გულისხმობს ისეთი ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობას, რომლებიც ტურიზმის სექტორში დასაქმებული სამუშაო ძალის (გიდები, სასტუმროს/კვების ობიექტის მფლობელები, მასპინძლები) პროფესიულ განვითარებას უწყობენ ხელს |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | ტურისტულ საქმიანობაში ჩართული სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის პირები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის LAG-ი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, წალკის მუნიციპალიტეტის მერია |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | საჭიროებების შეფასება, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მხარდაჭერა |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | ტურისტული განათლების პროვაიდერი ორგანიზაციები, პროფესიული სასწავლებლები |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში მონაწილე პირების რაოდენობა (სეგრეგირება სქესის, ასაკის, ეთნიკური ჯგუფის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)<br>• ტურისტული მომსახურების ხარისხი გაუმჯობესებულია<br>• ტურისტების კმაყოფილება გაზრდილია / განმეორებითი ვიზიტების რაოდენობა გაზრდილია<br>• ტურისტულ საქმიანობაში რისკჯგუფების (ახალგაზრდები, ქალები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, იძულებით გადაადგილებული პირები, ეკომიგრანტები) ჩართულობა საშუალო და მაღალ პოზიციებზე გაზრდილია |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

**ამოცანა 2.2**

დივერსიფიცირებული ტურისტული მომსახურების / ტურისტული პროდუქტების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში

**დასაბუთება**-ტურისტებისრაოდენობისგაზრდისაუცილებელიწინაპირობაამრავალფეროვანი ტურისტული ბიზნესინიციატივების განხორციელება. წალკის მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები იდეალურ პირობებს ქმნის საპიკნიკე და საკემპინგე აქტივობებისთვის (მაგალითად, დაშბაშის კანიონი, ჯამუშის ტბა, მდინარე ჩინჩილის კანიონი, ბეშთაშენის ჩანჩქერი), თევზჭერისთვის (მაგალითად, ხრამის წყალსაცავი), საფეხმავლო, ველო და საცხენოსნო ტურებისთვის.

წალკის მუნიციპალიტეტის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, რაც უმთავრესად წარმოდგენილია ტაძრებით, მეგალითებით,[6] გამოქვაბულებით, პეტროგლიფებითა[7] და სამარხებით, შესანიშნავი საშუალებაა პილიგრიმული, სამეცნიერო, შემეცნებითი და არქეოლოგიური ტურიზმის განვითარებისთვის.

მრავალფეროვანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის არსებობა წალკის მუნიციპალიტეტს კიდევ უფრო მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებად აქცევს. მრავალეთნიკური მოსახლეობა თავისი რიტუალებით, ტრადიციებით, სამზარეულოთი, ფოლკლორით, დღესასწაულებით თუ რეწვით, ეთნოტურიზმისა და კულინარიული ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. ნაყოფიერი მიწა და კლიმატი კი ეკო და აგროტურიზმით დაინტერესებული ვიზიტორებისთვის საინტერესო ტურისტული პროდუქტების შექმნის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

ხარისხიანი ტურისტული მომსახურების მიწოდებისთვის ასევე აუცილებელია, ტურისტულ საქმიანობაში ჩართულ პერსონალს ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია - თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები მომსახურების სტანდარტებში, უცხო ენებში, სასტუმროს / ტურისტული ობიექტის მართვაში.

მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდა ტურიზმის განვითარების მიმართულებით. ამჟამად მერიაში არ არსებობს ტურიზმის სამსახური და აღნიშნული საქმიანობის განხორციელება მიბარებული აქვს სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს.

ტურიზმის განვითარების კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ადგილობრივი ტუროპერატორების არარსებობაა, რომლებიც ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კონტაქტების დამყარებით შეძლებდნენ შემომავალი ტურიზმის განვითარებას.

[6] უზარმაზარი, დაუმუშავებელი და დამუშავებული ქვის ლოდებისგან აღმართული ნაგებობა.

[7] გამოქვაბულის კედლებზე, ჭერზე, კლდეებზე ან ცალკეულ ქვებზე შესრულებული უძველესი გამოსახულებები.

| სტრატეგიული აქტივობა 2.2.1 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | ადგილობრივი ბუნებრივი და კულტურული რესურსის გამოყენებით შექმნილი ტურისტული პროდუქტების / მომსახურების განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | პილიგრიმული, სამეცნიერო, შემეცნებითი, არქეოლოგიური, ექსტრემალური და კულინარიული ტურიზმის, ეთნოტურიზმის, აგროტურიზმისა და ეკოტურიზმის განვითარების მხარდაჭერა. საპიკნიკე და საკემპინგე ადგილების, თევზჭერის, საცხენოსნო და ველოტურების და სხვა ტურისტული ბიზნესის შექმნის ხელშეწყობა |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | ადგილობრივი მეწარმეები, ტურისტული საქმიანობით დაინტერესებული პირები, სხვა ბიზნესის / ბიზნესიდეის მქონე სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის პირები. იდეა, შესაძლოა, პირდაპირ არ იყოს დაკავშირებული ტურიზმთან |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის LAG-ი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | საგრანტო კონკურსით ტურისტული მომსახურების შექმნის თანადაფინანსება |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | ფერმერთა ასოციაცია, ეკოტურიზმის ასოციაცია |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • დივერსიფიცირებული ტურისტული მომსახურების რაოდენობა<br>• საწარმოების რაოდენობა გაზრდილია / არსებული საწარმოები გაფართოებულია<br>• ტურისტული მომსახურებით მოსარგებლე ვიზიტორების რაოდენობა<br>• ტურისტული სერვისების შექმნასა და მიწოდებაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა გაზრდილია (სეგრეგირება სქესის, ასაკის, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

**ამოცანა 2.3**

ტურისტული ინფრასტრუქტურის (საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, გასართობი ადგილები, საჭირო მომსახურება, ტურისტული მარშრუტები, ბილიკები და ა.შ) მოწყობის/განახლების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში.

**დასაბუთება** - წალკის მუნიციპალიტეტში ვიზიტორების დაინტერესების უპირველესი წინაპირობა მაღალი ხარისხისა და შესაბამისი სტანდარტის ინფრასტრუქტურის მოწყობაა. გამომდინარე იქიდან, რომ ამჟამინდელი ინფრასტრუქტურა შემოიფარგლება მხოლოდ ერთეული სასტუმროებით / კვების ობიექტებითა[8] და ნაწილობრივ მოწყობილი მარშრუტებით, მნიშვნელოვანია კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება, რათა შეიქმნას ტურისტებისთვის მიმზიდველი გარემო.

დაშბაშის კანიონზე მსხვილი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის კვალდაკვალ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის სხვა ღირსშესანიშნაობების განვითარებაც, რათა ვიზიტორებს ჰქონდეთ მრავალფეროვანი არჩევანი და დიდი ხნით გაჩერდნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

| **სტრატეგიული აქტივობა 2.3.1** | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | ტურისტული ობიექტების შექმნის / გაფართოების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | განთავსების მცირე და საშუალო ზომის ობიექტების, კვების პუნქტების, სხვა ტურისტული მომსახურების შექმნა და/ან არსებული მომსახურების გაფართოება |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | ტურისტულ საქმიანობაში ჩართული სხვადასხვა სქესის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის პირები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის LAG-ი |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | ტურისტული ობიექტების შექმნის / გაფართოების თანადაფინანსება |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | (ქსელურ) ტურისტულ ბიზნესში ჩართული კერძო კომპანიები |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2022** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • ახალი / განახლებული / გაფართოებული ტურისტული ობიექტების გაზრდილი რაოდენობა<br>• ტურისტულ ობიექტებში დასაქმებული ადამიანების გაზრდილი რაოდენობა (სეგრეგირება სქესის, ასაკის, ეთნიკური ჯგუფის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)<br>• ახალი / განახლებული / გაფართოებული ტურისტული ობიექტებით მოსარგებლე ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობა<br>• ტურისტული ობიექტების მეპატრონეების გაზრდილი შემოსავალი |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

[8] წალკის ტურისტული პოტენციალის კვლევის მიხედვით (CENN 2019), წალკის მუნიციპალიტეტში განთავსების 6 და კვების 7 ობიექტია

| სტრატეგიული აქტივობა 2.3.2 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | ტურისტული მარშრუტებისა და ბილიკების მოწყობა / განახლების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | მარშრუტებისა და ბილიკების ინფრასტრუქტურული გამართვა - მარკირება, საინფორმაციო დაფებისა და რუკების განთავსება და პერიოდული განახლება |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | ტურისტული მარშრუტებითა და ბილიკებით მოსარგებლე ადგილობრივი და შემოსული მოგზაურები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია,<br>ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | • ადვოკატირება<br>• მარშრუტებისა და ბილიკების მოწყობა / განახლების თანადაფინანსება |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | ეკოტურიზმის ასოციაცია, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • მარკირებები გამართულია / განახლებულია ტურისტულ ბილიკებზე<br>• ტურისტული მარშრუტების / ბილიკების ინფრასტრუქტურა მოწყობილია და პერიოდულად ახლდება<br>• განახლებული მარშრუტებით / ბილიკებით მოსარგებლე მოგზაურების რაოდენობა გაზრდილია<br>• საფეხმავლო / საცხენოსნო / ველობილიკებზე უსაფრთხოება უზრუნველყოფილია |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

# პრიორიტეტული სფერო 3 - გენდერული თანასწორობა და ქალთა ინტეგრაცია

## გენდერული თანასწორობა და ქალთა ინტეგრაცია - SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| 1. ქალთა გამოცდილება სოფლის მეურნეობის მიმართულებით<br>2. ტრადიციული ხელსაქმის ცოდნა ქალების მიერ<br>3. ქალების ცოდნა სამკურნალო მცენარეების გამოყენებაზე<br>4. CENN - ის აქტიური მუშაობა გენდერული თანასწორობის მიმართულებით<br>5. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში გაზრდილი ცნობიერება გენდერულ თემატიკაზე<br>6. გენდერულ თანასწორობაზე ფოკუსირებული ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკა და ორგანიზაციები | 1. საჯარო სივრცეების არარსებობა სხვადასხვა ასაკისა და სქესის ადამიანებისთვის<br>2. გენდერული დისბალანსი საჯარო და კერძო სექტორებში<br>3. გენდერული ასპექტის გაუთვალისწინებლობა მუნიციპალური დაგეგმარების დროს<br>4. სტერეოტიპული შეხედულებები ქალებისა და კაცების შესაძლებლობებზე<br>5. შეზღუდული ხელმისაწვდომობა წყალზე<br>6. გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და ძალადობა<br>7. ქალების ნაკლები ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში |
| **შესაძლებლობები** | **საფრთხეები** |
| 1. ქალებისა და კაცების თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა LAG-ის სამომავლო ღონისძიებებში<br>2. ქალებისა და კაცების თანაბარი ხელშეწყობის უზრუნველყოფა საგრანტო კონკურსის კომპონენტში<br>3. გენდერული ასპექტის გათვალისწინება დაგეგმარების ყველა ეტაპზე<br>4. ცნობიერების ამაღლება გენდერულ სტერეოტიპებთან საბრძოლველად<br>5. ეთნოტურიზმისა და გასტრონომიული ტურიზმის განვითარებაში ქალების როლი<br>6. მრავალეთნიკურობის პოტენციალის გამოყენება (ქალთა ინიციატივების საუკეთესო ინტერკულტურული პრაქტიკის დანერგვის შესაძლებლობა) | 1. ნაადრევი ქორწინების პრაქტიკა<br>2. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ნაკლები ინტეგრაცია<br>3. ახალგაზრდების მიგრაცია<br>4. სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა<br>5. საზოგადოების გარკვეული ნაწილის მოუმზადებლობა გენდერულად სენსიტიური თემატიკის განხილვის პროცესში |

# გენდერული თანასწორობა და ქალთა ინტეგრაცია - ამოცანები და სტრატეგიული ღონისძიებები

**ამოცანა 3.1**

გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში არაფორმალური საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერის გზით.

**დასაბუთება** - გენდერული უთანასწორობა და სტერეოტიპები აზიანებენ ქალებისა და კაცების, ბიჭებისა და გოგონების განვითარების პროცესს. 2019 წელს წალკაში ჩატარებული კვლევის მიხედვით[9], ქალების 36% მიიჩნევს, რომ წალკაში მცხოვრები ქალების მიმართ ადგილი აქვს ფსიქოლოგიურ ძალადობას. 17% მიიჩნევს, რომ ქალები ხშირად ხდებიან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლები.

SWOT ანალიზმა გამოავლინა ადრეული ქორწინების პრობლემაც, რომელიც ისეთი ხშირი აღარ არის, როგორც წარსულში, თუმცა მაინც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი პროგრამების დაგეგმვისას აუცილებელია წალკის მულტიკულტურული კონტექსტის გათვალისწინება, საზოგადოების მიმღებლობის დონის განსაზღვრა გენდერულად სენსიტიური თემატიკის მიმართ.

| სტრატეგიული აქტივობა 3.1.1 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | არაფორმალური საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერა - საგანმანათლებლო, საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორების წარმომადგენელი ქალებისა და კაცების, ბიჭებისა და გოგონების აქტიური ჩართულობით გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | ტრენინგების, საჯარო განხილვების, სასწავლო ვიზიტების, კლუბებისა და არაფორმალური განათლების სხვა მეთოდების გამოყენებითა და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით (როგორც ინიციატივების დაგეგმვის, ასევე - განხორციელების ეტაპზე) ნეგატიური გენდერული სტერეოტიპებისა და ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | სხვადასხვა ასაკის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური ჯგუფისა და სექტორის წარმომადგენელი წალკის მცხოვრებნი. |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურები<br>წალკის LAG -ი. |

[9] კვლევა: წალკაში მცხოვრები ქალების უფლებრივი მდგომარეობა და საჭიროებები

| | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | ტრენინგების, საჯარო განხილვების, სასწავლო ვიზიტების, კლუბებისა და არაფორმალური განათლების სხვა მეთოდების გამოყენებითა და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით (როგორც ინიციატივების დაგეგმვის, ასევე - განხორციელების ეტაპზე) ნეგატიური გენდერული სტერეოტიპებისა და ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | სხვადასხვა ასაკის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური ჯგუფისა და სექტორის წარმომადგენელი წალკის მცხოვრებნი. |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურები<br>წალკის LAG -ი. |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი 1) მართავს საინფორმაციო შეხვედრებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების LAG -ის ინიციატივებში ჩართულობის გაზრდის მიზნით; 2) აფინანსებს გენდერული თანასწორობის ხელშემწყობ ინიციატივებს |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | ქალთა ოთახი, მარგინალიზებული სოციალური ჯგუფის, მათ შორის, უმცირესობებისა და ქალების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები, კერძო სექტორის წარმომადგენლები |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • სკოლამდელ და სასკოლო განათლებაში ჩართული გოგონებისა და ბიჭების რაოდენობა და პროცენტულობა გაზრდილია (განათლების სისტემაში ჩართული ბავშვების რაოდენობის შეფარდება შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების რაოდენობასთან)<br>• არაფორმალური განათლების ინიციატივებში მონაწილე სხვადასხვა ასაკის, საცხოვრებელი ადგილის, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელი ქალების რაოდენობა გაზრდილია<br>• სხვადასხვა ასაკის, საცხოვრებელი ადგილის, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელი ქალების დასაქმების მაჩვენებელი გაზრდილია<br>• კერძო სექტორში დასაქმებისა და ანაზღაურების გენდერული განაწილება გაუმჯობესებულია<br>• საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებულია ზომები გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად<br>• წალკის მოსახლეობაში გაზრდილია ძალადობის შემთხვევებზე მიმართვიანობის მექანიზმის შესახებ ცნობიერება. |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

**ამოცანა 3.2**

მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ასაკის, სქესის, ეთნიკური ჯგუფისა და განსხვავებული საჭიროებების მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა და მათი ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა.

**დასაბუთება** - 2019 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით,[10] გამოკითხული ქალების 99% წალკის მუნიციპალიტეტის მართვაში მონაწილეობას არ იღებს. წალკაში მცხოვრები ქალების ძირითადი პრობლემებია უმუშევრობა (40%), საკუთარ უფლებებზე ინფორმაციის უქონლობა (30%). მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ასევე საჯარო სივრცეების არარსებობა სხვადასხვა სქესის, ასაკის, ეთნიკური ჯგუფის თუ განსხვავებული საჭიროებების მქონე პირებისთვის, სადაც ისინი შეძლებდნენ მათთვის აქტუალური საკითხების განხილვას, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებას და, ზოგადად, სოციალიზაციას. მუნიციპალიტეტის ბაზაზე არსებობს „ქალთა ოთახი“, რომელიც პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო ინიციატივებს სხვადასხვა ასაკის ქალებისათვის, თუმცა, მხარდაჭერის ნაკლებობის გამო, ბოლო პერიოდში შეინიშნება განხორციელებული ღონისძიებების შემცირება.

ამავე კვლევის მიხედვით, გამოკითხული ქალების 94% -ს საკუთრებაში არ აქვს უძრავი ქონება, რაც მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ეკონომიკური ინიციატივების განხორციელების პროცესში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ასაკისა და ეთნიკური წარმომავლობის ქალების, ასევე სხვა რისკჯგუფების წარმომადგენელი პირების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ეკონომიკური ინიციატივების დაფინანსებისა და ეკონომიკური საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გადაცემის გზით.

| **სტრატეგიული აქტივობა 3.2.1** | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით, სხვადასხვა საჭიროების მქონე სოციალური ჯგუფების (ქალები, კაცები, ბიჭები, გოგონები, ახალგაზრდები, ხანდაზმულები, სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები, შშმ პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, ეკომიგრანტები) საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მუნიციპალიტეტის მართვაში აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების გამოყენების გზით11 |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | საინფორმაციო (მაგალითად, საკრებულოს ღია სხდომა), საკომუნიკაციო (მაგალითად, მოქალაქეების გამოკითხვა, ფოკუსჯგუფები, საჯარო მოსმენა, სამეზობლოს შეკრება), პარტნიორობის (მაგალითად, მრჩეველთა ჯგუფი) და ადმინისტრაციული (მაგალითად, მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმარებაში მონაწილეობა, ახალგაზრდული საბჭო) მექანიზმების არსებობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მათი მონაწილეობის სტიმულირება მუნიციპალიტეტის მართვაში ამ მექანიზმების გამოყენებით |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა რისკჯგუფის წარმომადგენლები |

[10] კვლევა: წალკაში მცხოვრები ქალების უფლებრივი მდგომარეობა და საჭიროებები

[11] ჩართულობის მექანიზმების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ

| | |
|---|---|
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის მუნიციპალიტეტის მერია |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების საშუალებით ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზება, მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ადვოკატირება |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | ქალთა ოთახი, მარგინალიზებული სოციალური ჯგუფების, მათ შორის, უმცირესობებისა და ქალების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • რისკჯგუფების ჩართულობით მიღებული მუნიციპალური გადაწყვეტილებების რაოდენობა გაზრდილია<br>• რისკჯგუფების საჭიროებებზე მორგებული მომსახურების რაოდენობა გაზრდილია<br>• სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებში რისკჯგუფების წარმომადგენლების რაოდენობა და პროცენტულობა გაზრდილია<br>• გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ინიციატივების რაოდენობა გაზრდილია<br>• გოგონებისა და ბიჭების, ქალებისა და კაცების შეხედულებები გენდერულ სტერეოტიპებზე გაუმჯობესებულია<br>• გენდერული ანალიზის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა გაზრდილია (LAG-ის, ადგილობრივი თვითმმართველობის, საგანმანათლებლო, სპორტული, სახელოვნებო დაწესებულებების მიერ) |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

| სტრატეგიული აქტივობა 3.2.2 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა რისკჯგუფის, განსაკუთრებით კი - ქალების, ახალგაზრდების, ხანდაზმულების, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, იძულებით გადაადგილებული პირების, ეკომიგრანტების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა ბიზნესინიციატივების დაფინანსების გზით |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | საგრანტო კონკურსის წესით ისეთი ინიციატივების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სხვადასხვა რისკჯგუფების ფინანსურ გაძლიერებას. აღნიშნული კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობა. გასათვალისწინებელია, რომ დაფინანსებულმა იდეებმა ხელი შეუწყოს როგორც უშუალოდ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პირების, ასევე სხვა თემის წარმომადგენლების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას (დასაქმებით, ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებით) |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | ქალები, ახალგაზრდები, ხანდაზმულები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის LAG-ი |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | ინფორმაციის გავრცელება (შეხვედრების ორგანიზებით, მედიის გამოყენებით) ბიზნესინიციატივების დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ მოქალაქეების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით<br><br>რისკჯგუფების წარმომადგენლების ბიზნესიდეების დაფინანსება |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | ადგილობრივი კერძო კომპანიები, სახელმწიფო დაფინანსების პროგრამები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • ქალების, ახალგაზრდებისა და სხვა რისკჯგუფების საკუთრებაში არსებული ბიზნესის / ქონების რაოდენობა / მოცულობა გაზრდილია<br>• სხვადასხვა ასაკის, საცხოვრებელი ადგილის, ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ქალების, ახალგაზრდებისა და სხვა რისკჯგუფების წარმომადგენლების დასაქმების მაჩვენებელი გაზრდილია<br>• LAG -ის მიერ დაგეგმილი / დაფინანსებული ინიციატივები ხორციელდება გენდერული ანალიზის საფუძველზე<br>• გენდერული განსხვავებები (მაღალანაზღაურებად) ბიზნესის მართვაში, დასაქმებაში შემცირებულია |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

# პრიორიტეტული სფერო 4 - განათლება, ახალგაზრდობა, კულტურა, სპორტი

## განათლება, ახალგაზრდობა, კულტურა, სპორტი - SWOT ანალიზი

| **ძლიერი მხარეები** | **სუსტი მხარეები** |
|---|---|
| 1. ნიჭიერი და მოტივირებული ბავშვები | 1. ეფექტიან კომუნიკაციის არქონა ადმინისტრაციულ თემსა და სოფლებს შორის |
| 2. მრავალეთნიკური მოსახლეობის არსებობა | 2. უხარისხო ინტერნეტი სოფლებში |
| 3. ზოგად განათლებაში მოსწავლეების ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი | 3. ხელოვნებისა და სპორტის მიმართულებით არაპროფესიონალი კადრები |
| 4. ზოგადი განათლება ხელმისაწვდომია | 4. სახელოვნებო წრეების არარსებობა. (თეატრი, კინო) |
| 5. სასკოლო ტრანსპორტის არსებობა | 5. პროფესიული დაწესებულებების არარსებობა |
| 6. „ასწავლე საქართველოსთვის“ - პროექტის ფარგლებში გადამზადებული მასწავლებლების არსებობა | 6. სკოლამდელი განათლების განვითარების დაბალი დონე |
| 7. მაღალმთიანი რეგიონებისთვის დაწესებული შეღავათები | 7. კულტურული სივრცეების ნაკლებობა |
| 8. თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული ცეკვისა და სპორტის მიმართულების წრეების არსებობა | 8. ცუდი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა და შეზღუდული რესურსი |
| 9. აქტიური კულტურის ცენტრი | 9. ინფორმაციის ვაკუუმი |
| 10. მოტივირებული და სამოქალაქო აქტივიზმით დაინტერესებული საზოგადოების დიდი ნაწილი | 10. ინიციატივების ნაკლებობა თვითმმართველობის მხრიდან |
| 11. რეაბილიტირებული და ახლად აშენებული საბავშვო ბაღები | 11. მშობელთა ჩართულობის დაბალი დონე |
| 12. არსებული საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია | 12. ზოგიერთ სოფელში მოსწავლეების რაოდენობის სიმწირე |
| 13. აშენებული ახალი ბაღები სტანდარტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს | 13. ბაღის მასწავლებლების დაბალი კვალიფიკაცია (განსაკუთრებით, დამხმარეების) |
| 14. სკოლის ობიექტების საკმარისი რაოდენობა, დიდი ფართობით | 14. სკოლების ინფრასტრუქტურა (არ არის ადაპტირებული, სველი წერტილების პრობლემა) |
| 15. ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრი, სპორტდარბაზი, სტადიონები | 15. სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები ვერ იღებენ შესაბამის საგანმანათლებლო მხარდაჭერას |
| 16. სოციალური საწარმო „გუმბათი “ (საგანმანათლებლო ცენტრი) | 16. უფასო ცეკვისა და მუსიკის წრეებში მონაწილეობისათვის მიმდებარე სოფლიდან ახალგაზრდებისათვის არ არის ტრანსპორტირების შესაძლებლობა |
| 17. კარატე, ფეხბურთი, ჭიდაობა, ძიუდო, ჭადრაკი, კალათბურთი - მიღების შესაძლებლობა | 17. გასართობი და შემეცნებითი ადგილებისა და აქტივობების ნაკლებობა ახალგაზრდობისათვის |
| 18. გოგონების სპორტული გუნდები | 18. მუნიციპალური დაფინანსების სიმწირე |
| 19. აიპები უფასოდ ემსახურებიან ბავშვებს ცეკვისა და სიმღერის წრეებზე | 19. ენობრივი ბარიერები |
| 20. სომხური ნაციონალური ცეკვის წრე | |
| 21. წალკის გაზეთი „თრიალეთის ექსპრესი“ | |
| 22. ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთათვის („ქართული, როგორც მეორე ენა“, ჟვანიას სკოლა) | |

| შესაძლებლობები | საფრთხეები |
| --- | --- |
| 1. არსებული მომსახურებებისა და შესაძლებლობების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა<br>2. სკოლის ბაზაზე წრეების შექმნა<br>3. ძველი შენობების რესტავრაცია<br>4. ხელოვნების წრეების ჩამოყალიბება<br>5. პროფესიული დაწესებულებების დაარსება, სადაც ისწავლება წალკისთვის ადეკვატური მიმართულებები; მაგ სოფლის მეურნეობა<br>6. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ წალკის მუნიციპალიტეტით დაინტერესება ეთნიკური მრავალფეროვნებიბის კუთხით<br>7. სკოლამდელი განათლების განვითარება<br>8. ახალაშენებული ბაღების ფუნქციონირება და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით აღჭურვა<br>9. ბიბლიოთეკებისთვის მულტიფუნქციური როლის მინიჭება<br>10. ხელოვნებისა და სპორტის წარმატებულ წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება<br>11. არაფორმალური განათლების დანერგვა<br>12. სკოლის დირექტორების, სკოლის თვითმმართველობის როლის გააქტიურება<br>13. სოფლის ახალგაზრდული სახლების ეფექტიანი გამოყენება<br>14. კონოჩვენებებისა და ფესტივალების ჩატარება სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლობით<br>15. ახალგაზრდებისთვის ანაზღაურებადი სტაჟირების სერვისების შექმნა | 1. მიგრაცია (განსაკუთრებით - ახალგაზრდების)<br>2. მოწვეული მასწავლებლების გადინება<br>3. არსებული საგანმანათლებლო პროექტების შეჩერება<br>4. მძიმე სოციალური ფონი<br>5. განვითარების დაბალი და ბიუროკრატიის მაღალი დონე<br>6. საზოგადოების ნაკლები მზაობა<br>7. ახალგაზრდების მიერ თავისუფალი დროის არაადეკვატურად ხარჯვა<br>8. ჩაგვრა, ბულინგი<br>9. შრომითი ექსპლუტაცია- ახალგაზრდები, მოსწავლეები ჩართული არიან სამეურნეო საქმიანობაში, რის გამოც სასწავლო პროცესს სწყდებიან.<br>10. მკაცრი კლიმატი<br>11. ადრეული ქორწინება<br>12. ენობრივი ბარიერები<br>13. ენთიკურ ნიადაგზე კონფლიქტები და დაპირისპირება |

# განათლება, ახალგაზრდობა, კულტურა, სპორტი - ამოცანები და სტრატეგიული ღონისძიებები

**ამოცანა 4.1**

წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური, ემოციური, სოციალური და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა ახალგაზრდული, სპორტული, საგანმანათლებლო და კულტურული ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით.

**დასაბუთება** - SWOT ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ წალკის მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას საგანმანათლებლო, ახალგაზრდული, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობის პრობლემა. ადგილობრივ მცხოვრებლებს, განსაკუთრებით კი, ბავშვებსა და ახალგაზრდებს არ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მათთვის სასურველი და სასარგებლო მომსახურება. 2019 წელს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ სასკოლო ობიექტების შენობების შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ წალკის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების დაახლოებით ნახევარი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, სკოლების 50% ზე მეტის მდგომარეობა კი ცუდია. არცერთი სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის კარგ მდგომარეობაში.[12]

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სკოლების, არამედ არაფორმალური განათლების ცენტრების, სახელოვნებო, სპორტული და ახალგაზრდული სივრცეების ინფრასტრუქტურის მოწყობა, ინვენტარითა და რესურსებით მომარაგება.

ინტერნეტის დაბალი ხარისხი წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების ინტეგრაციისა და განვითარების პროცესში. რეკომენდებულია ამ მიმართულებით ადვოკატირება შესაბამის უწყებებთან.

| სტრატეგიული აქტივობა 4.1.1 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | საგანმანათლებლო, სახელოვნებო, სპორტული და ახალგაზრდული სივრცეების ინფრასტრუქტურის მოწყობის ხელშეწყობა - არსებული ცენტრების განახლება და ახალი ობიექტების შექმნა |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | აქტივობა გულისხმობს ინკლუზიური საგანმანათლებლო, სპორტული და კულტურული სივრცეების, ბიბლიოთეკების მოწყობას, რაც წალკის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლების, განსაკუთრებით კი, სხვადასხვა სქესისა და ასაკის ბავშვების, ახალგაზრდების, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ხელმისაწვდომობას გაზრდის შესაბამის მომსახურებებზე. აღნიშნული აქტივობით, შესაძლოა, დაფინანსდეს სივრცეების შექმნა/განახლება, ინვენტარით აღჭურვა, შშმ პირებისთვის სივრცეების ადაპტირება. |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | სხვადასხვა სქესისა და ასაკის ბავშვები, ახალგაზრდები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები |

[12]სკოლების მდგომარეობა შეფასდა საერთაშორისო FCI ინდექსით

| | |
|---|---|
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურები, ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მუნიციპალური განვითარების ფონდი |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | საჭიროებების ანალიზი<br>არსებული ობიექტების განახლება - მოწყობისა და ახალი ობიექტების შექმნის დაფინანსება<br>ადვოკატირება |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | წალკის მუნიციპალიტეტის მერია, არსებული სპორტული, საგანმანათლებლო, სახელოვნებო ობიექტები |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2022** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • არსებული მომსახურების მასშტაბები გაზრდილია<br>• რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა გაზრდილია<br>• ახლად შექმნილი ობიექტების რაოდენობა გაზრდილია<br>• ადგილობრივ ბიუჯეტში საგანმანათლებლო, სახელოვნებო, სპორტული და ახალგაზრდული ცენტრების დაფინანსება გაზრდილია<br>• ახალი / განახლებული მომსახურებებით მოსარგებლე პირების რაოდენობა გაზრდილია (სეგრეგირება სქესის, ასაკის, ეთნიკური ჯგუფის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)<br>• საგანმანათლებლო, სახელოვნებო, სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით დასაქმებული პირების რაოდენობა გაზრდილია (სეგრეგირება სქესის, ასაკის, ეთნიკური ჯგუფის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)<br>• მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების პროცენტი, სადაც ხორციელდება შესაბამისი პროგრამები |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

**ამოცანა 4.2**

წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური, ემოციური, სოციალური და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი არაფორმალური პროგრამების განხორციელების გზით.

**დასაბუთება** - წალკის მუნიციპალიტეტში საჭიროა ახალი ახალგაზრდული ობიექტებისა და მომსახურებების შექმნა, ადგილობრივ საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული არაფორმალური პროგრამების განხორციელება, რაც წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზების შესაძლებლობებს გაზრდის და შეამცირებს მუნიციპალიტეტიდან მათი გადინების ტენდენციას.

წალკის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი მრავალი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის მშვიდობიანი თანაცხოვრების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია ინტერკულტურული და ინტერრელიგიური ინიციატივების განხორციელება. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფეს შორის პერიოდულად კონფლიქტური სიტუაციები იჩენს თავს.

| **სტრატეგიული აქტივობა 4.2.1** | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | სხვადასხვა სქესისა და ასაკის ბავშვების, ახალგაზრდების, ქალების, ხანდაზმულების, ეთნიკური უმცირესობებისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების გაძლიერებაზე ორიენტირებული, ინტერკულტურული ჩართულობისა და ინკლუზიის მხარდამჭერი საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა. |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | აქტივობა მოიაზრებს ისეთი (არაფორმალური) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რომლებიც დაეხმარება ადგილობრივ ჯგუფებსა და ინდივიდებს, აქტიურად ჩაერთონ წალკის მუნიციპალიტეტის სოციალურ / კულტურულ ცხოვრებაში, ეკონომიკურ განვითარებაში, მშვიდობის შენებაში |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | სხვადასხვა სქესისა და ასაკის ბავშვები, ახალგაზრდები, ქალები, ხანდაზმულები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურები. |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | მოწყვლადი სოციალური ჯგუფების გაძლიერებაზე ორიენტირებული, ინტერკულტურული ჩართულობისა და ინკლუზიის მხარდამჭერი ინიციატივების 1) განხორციელება, 2) დაფინანსება |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | ადგილობრივი და რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციები,<br>რელიგიური ინსტიტუტები<br>სოციალური საწარმო „გუმბათი“ |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • სკოლამდელ და სასკოლო განათლებაში ჩართული ბიჭებისა და გოგონების რაოდენობის ზრდა<br>• ახალგაზრდული, სახელოვნებო, სპორტული და საგანმანათლებლო ობიექტების მომსახურებით მოსარგებლე პირების რაოდენობა<br>• ინტერკულტურული ჩართულობისა და სოციალური ინკლუზიის ხელშემწყობის ინიციატივების რაოდენობის ზრდა<br>• სოციალური ინკლუზიის ხელშემწყობ ინიციატივებში მონაწილე უმცირესობებისა და რისკჯგუფების წარმომადგენლების რაოდენობა და პროცენტული განაწილება<br>• ინტერკულტურული დაპირისპირებების შემთხვევების რაოდენობა შემცირებულია |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

**ამოცანა 4.3**

უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდითა და ჯანდაცვა / განათლება / ახალგაზრდობა / კულტურა / სპორტის მიმართულებით დასაქმებული სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო კურსების ორგანიზების გზით.

**დასაბუთება** - SWOT ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ წალკის მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტია როგორც ჯანდაცვა / განათლება / ახალგაზრდობა / კულტურა / სპორტის მიმართულებით, ასევე ისეთ სფეროებში, როგორიცაა, მაგალითად, ბუღალტერია და საექთნო საქმე. ხარისხიანი საჯარო, სამედიცინო თუ საგანმანათლებლო მომსახურების აუცილებელი კომპონენტია შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. წალკის მუნიციპალიტეტში არ არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ან სხვა მომსახურება. ქვემო ქართლში, პროფესიული განათლების ცენტრები არის მხოლოდ რუსთავში (116 კმ წალკიდან), 2018 წელს საზოგადოებრივი კოლეჯი გაიხსნა მარნეულშიც (87 კმ წალკიდან). განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ იგეგმება პროფესიული სასწავლებლ(ებ)ის დამატება ქვემო ქართლში, თუმცა კონკრეტული ხედვა ამ მიმართულებით ჯერჯერობით არ არსებობს. მნიშვნელოვანია ახალი სასწავლებლ(ებ)ის დაგეგმარებისას წალკის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება.

განსაკუთრებით მწვავედ დგას სკოლის მასწავლებლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პერსონალის დეფიციტის პრობლემა. ქვემო ქართლის რეგიონს სხვა მხარეებთან შედარებით აღსაზრდელი-აღმზრდელის თანაფარდობის უარესი მაჩვენებელი აქვს - 14:1, წალკაში კი ერთ აღმზრდელზე 16 აღსაზრდელი მოდის,[13] რაც სცდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზედა ზღვარს.[14] არასაკმარისია აგრეთვე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობა. წალკის მუნიციპალიტეტში სულ 3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა, სადაც, 2019 - 2020 წლების მონაცემებით, 220 ბავშვი სწავლობდა. ქალაქ წალკაში არსებულ საბავშვო ბაღში არ არის ბაგის ჯგუფი, შედეგად, 3 წლამდე ბავშვებს არ აქვთ აღზრდის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა.

2019 წელს განახლდა საბავშვო ბაღი წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ არჯევანში, აშენდა სკოლამდელი აღზრდის ახალი დაწესებულებები ბეშთაშენის თემსა და ყიზილქილისაში, თუმცა არცერთი მათგანი ჯერ ექსპლუატაციაში არ არის შესული. ახალი ბაღების გახსნასთან ერთად კვალიფიციური კადრების საჭიროება კიდევ უფრო აქტუალური გახდება.

[13] საქსტატი - ადრეული და სკოლამდელი განათლება

[14] საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. მუხლი 22

| სტრატეგიული აქტივობა 4.3.1 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | წალკის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებისთვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა პროფესიული სასწავლო კურსების, შერეული (დისტანციური) სწავლების მხარდაჭერის გზით |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | ადგილობრივი მეწარმეობის, ბიზნესების, მეურნეობის ეფექტიან მუშაობისთვის საჭირო სამუშაო ძალის მომზადება. ჯანდაცვა / განათლება / ახალგაზრდობა / კულტურა / სპორტის მიმართულებით დასაქმებული სპეციალისტებისთვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობა |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | სხვადასხვა სქესის, ასაკის, პროფესიის ახალგაზრდები, ქალები, კაცები, ხანდაზმულები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, წალკის მუნიციპალიტეტის მერია, პროფესიული რესურსცენტრები |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | ადგილობრივი ადამიანური შესაძლებლობებისა და პროფესიული საჭიროებების ანალიზი<br>განათლების მიღების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა<br>პრიორიტეტულ სასწავლო კურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ადვოკატირების / მომსახურებების დაფინანსების / საგრანტო კონკურსის გზით |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | პროფესიული დაწესებულებები, პროფესიული განვითარების მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, საგანმანათლებლო რესურსცენტრები, სკოლები, საბავშვო ბაღები |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • სასწავლო და გადამზადების კურსებით დაინტერესების მიზნით განხორციელებული საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა<br>• სქესის, ასაკის, ეთნიკურობისა და რელიგიის ნიშნით სეგრეგირებული იმ პირების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული სასწავლო კურსები<br>• აღმზრდელი:აღსაზრდელის თანაფარდობის გაუმჯობესება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში<br>• სქესის, ასაკის, ეთნიკურობისა და რელიგიის ნიშნით სეგრეგირებული გადამზადებული პედაგოგებისა და აღმზრდელების რაოდენობა |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

# პრიორიტეტული სფერო 5 - გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა - SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| 1. ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება (ტბები, მდინარეები, კანიონები)<br>2. ხელოვნურად განაშენიანებული ტყის საფარი<br>3. გეოლოგიური ქვები<br>4. არქეოლოგიური ნამარხები<br>5. მრავალფეროვანი ლანდშაფტი<br>6. ეკოლოგიურად სუფთა ჰავა და კლიმატი<br>7. სამკურნალო თვისებების მქონე ტყეები და ბალახები<br>8. წალკას და რამდენიმე მიმდებარე სოფელში ნარჩენების გატანა<br>9. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანის შესაძლებლობა<br>10. გარემოს დაცვის სამსახურის აქტიურობა | 1. მოსახლეობის უგულისყურო დამოკიდებულება ტყის ფონდის შენარჩუნების მიმართ<br>2. გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე<br>3. პერიოდული ძლიერი ქარი, გვალვა, წვიმა, სეტყვა.<br>4. ნარჩენების ურნების არასაკმარისი რაოდენობის არსებობა<br>5. ხეტყის უკანონო ჭრა<br>6. უკანონო თევზჭერა და ნადირობა<br>7. უკანონო ნაგავსაყრელების დიდი რაოდენობა<br>8. საკანალიზაციო სისტემის არარსებობა<br>9. რძის საწარმოების მიერ ნარჩენების მდინარეებში ჩადინება<br>10. სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგის ნაკლებობა ან არარსებობა<br>11. რამდენიმე სოფელში არის ტექნიკური წყალი |
| **შესაძლებლობები** | **საფრთხეები** |
| 11. ქარის ენერგიის ტურბინების დადგმა<br>12. მზის ენერგიის გამომუშავება<br>13. ლანდშაფტისა და მიწების მიზნობრივად ათვისება<br>14. კომპოსტირება და ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობა<br>15. ბრეკეტირება<br>16. სამკურნალო მცენარეების გამოყენება<br>17. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანის შესაძლებლობა | 1. ბუნებრივი კატაკლიზმები<br>2. ბუნებრივი რესურსების არაეფექტიან გამოყენება<br>3. საძოვრების არაეფექტიან გამოყენების შედეგად მცენარეული საფრის განადგურება და ბიომრავალფეროვნების შემცირება<br>4. კლიმატის ცვლილება |

# გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა - ამოცანები და სტრატეგიული ღონისძიებები

**ამოცანა 5.1**

ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში წყლის რესურსებისა და ნარჩენების მდგრადი მართვის სისტემების დანერგვის გზით.

**დასაბუთება** - წალკის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა წყლის უხვი რესურსით, რაც წარმოდგენილია როგორც ზედაპირული, ასევე მიწისქვეშა წყლების სახით. დღესდღეობით წყლის რესურსების მართვის გამართული სისტემის არსებობის მნიშვნელობა სათანადოდ არ არის გაცნობიერებული. წყლის რესურსების არამდგრადი გამოყენებითა და თანამდევი შედეგებით (მაგ; გარემოს დაბინძურება, ხარისხის ვარდნა, წყლის რესურსების დაკარგვა) მნიშვნელოვანი მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზიანი დგება.[15]

წალკის მუნიციპალიტეტის წყლის რესურსები შეფასებული არ არის, ასევე არ არსებობს მიწისქვეშა წყლის მონიტორინგის ქსელი, ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგურები, შესაბამისად, წყლის მნიშვნელოვანი პარამეტრების ცვლილებების დინამიკა არ აღირიცხება.[16] SWOT ანალიზის შედეგად სასმელი წყლის პერიოდული დაბინძურების პრობლემა გამოვლინდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მწვავე წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის. ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მდინარე ქციის საყოფაცხოვრებო ნარჩენით დაბინძურება.

აღსანიშნავია საკანალიზაციო კოლექტორების პრობლემაც. ქ. წალკაში არსებული კოლექტორები მძიმე მდგომარეობაშია, ჩამდინარე წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდინარეებში და ჟონავს მიწაშიც, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს გარემოს.

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით,[17] 2020 წლისთვის მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებელი 90% უნდა იყოს, ხოლო 2025 წლისთვის 100%-იანი შედეგი უნდა დაფიქსირდეს. დღესდღეობით ქალაქ წალკის მოსახლეობის უმრავლესობა სარგებლობს ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებით, თუმცა სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის აღნიშნული პრობლემა კვლავ აქტუალურია - 2018 წლის მონაცემებით, სოფლად მცხოვრები პირების მხოლოდ 25% სარგებლობდა აღნიშნული მომსახურებით.[18]

მნიშვნელოვანია ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და გადამუშავების პრაქტიკის დამკვიდრებაც - შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფითა და მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლების გზით.

[15] წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტის რეგულირების გავლენის შეფასება. USAID 2017
[16] კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე - წალკის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა. USAID
[17] ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია
[18] წალკის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა 2018 - 2023

| სტრატეგიული აქტივობა 5.1.1 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | წალკის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებისთვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა პროფესიული სასწავლო კურსების, შერეული (დისტანციური) სწავლების მხარდაჭერის გზით |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | აქტივობა, შესაძლოა, განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით:<br>1. წყლის რესურსების შეფასება და მართვის გეგმის შემუშავება<br>2. ადამიანური რესურსების გაძლიერება წყლის რესურსების მდგრადი მართვის ხელშესაწყობად<br>3. წყლის ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისთვის საჭირო აღჭურვილობის შესყიდვა |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | წალკის და მისი მეზობელი მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები, ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“<br>წალკის მუნიციპალიტეტის მერია[19] |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | ადვოკატირება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე წყლის რესურსების მდგრადი მართვის სისტემის დასანერგად |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | CENN |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • წყლის რესურსების მართვის შემუშავებული გეგმა<br>• ანგარიშები წყლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების დინამიკის შესახებ<br>• შესყიდული ახალი აღჭურვილობა |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

[19]მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა წყლის რესურსების მართვა, იმავე კანონის 163-ე მუხლი შეუძლებელს ხდის ამ მოვალეობის შესრულებას, რადგან აღნიშნული მუხლი მკაცრ მოთხოვნებს აწესებს წყლის მიწოდების ლიცენზიანტის დაარსებისთვის. ამის გამო მუნიციპალიტეტის მიერ არ/ვერ ხდება კერძო სამართლის სუბიექტის დაარსება და, შესაბამისად, ყველა რეგიონულ მუნიციპალიტეტს აღნიშნული ფუნქცია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის აქვს გადაბარებული. წყარო წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტის რეგულირების გავლენის შეფასება. USAID 2017 (გვ.71)

| სტრატეგიული აქტივობა 5.1.2 | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფის ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | აქტივობა გულისხმობს შემდეგი მიმართულებებით განხორციელებულ საქმიანობას:<br>1. ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიის დასუფთავება - აღდგენა<br>2. ნარჩენების მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გამართვა<br>3. დაბინძურებული ნიადაგის აღდგენა<br>4. კანალიზაციის ქსელის გამართვა და შესაბამისი გამწმენდების მოწყობა |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | წალკის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები, ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | • ადვოკატირება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფის მიზნით<br>• დაბინძურებული ტერიტორიების დასუფთავება - აღდგენის ღონისძიებების ორგანიზება / მხარდაჭერა |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | გარემოს ეროვნული სააგენტო, CENN |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • გაწმენდილი / აღდგენილი ტერიტორიების რაოდენობა და ფართობი<br>• ნარჩენების მართვისთვის მოწყობილი ინფრასტრუქტურა<br>• განახლებული / დახურული ნაგავსაყრელების რაოდენობა |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

**ამოცანა 5.2**

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში

**დასაბუთება** - გადაწყვეტილების მიმღები პირების, ისევე, როგორც ფართო საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა გარემოსდაცვით საკითხებზე, კლიმატგონივრული ინიციატივების გატარების უმთავრესი წინაპირობაა და საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის (2017 – 2021)[20] მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

გარემოსდაცვითი ცნობიერების გასავითარებლად რეკომენდებულია განათლების სხვადასხვა საფეხურზე (სკოლამდელი, ზოგადი) ინტეგრირდეს შესაბამისი თემები - კლიმატის ცვლილება, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა, ნარჩენების მართვა, წყალი, სანიტარია და ჰიგიენა. მნიშვნელოვანია აგრეთვე არაფორმალური საგანმანათლებლო ღონისძიებების ინიცირება გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით.

წალკის ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით ასევე მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგიის წყაროების შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა ადგილობრივ მოსახლეობასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებში (მზისა[21] და ქარის ენერგია).

| **სტრატეგიული აქტივობა 5.2.1** | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საკითხებზე სხვადასხვა ასაკზე მორგებული სასწავლო კურსების შექმნითა და ეკოსისტემის მოვლა-პატრონობაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელების გზით |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | აქტივობა გულისხმობს შემდეგი მიმართულებებით განხორციელებულ საქმიანობას:<br>1. ტრენინგების, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გარემოსდაცვითი სწავლების დანერგვის ხელშეწყობა (იხ. აქტივობა 4.3.1)<br>2. გამწვანების აქციების, სკვერებისა და პარკების მოწყობის ხელშეწყობა |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | წალკის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები, ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი |
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | • ადვოკატირება ადგილობრივ დონეზე, გარემოს დაცვის მიმართულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით<br>• სასწავლო კურსების შექმნის ხელშეწყობა (არსებულ კურსებში გარემოსდაცვითი კომპონენტის ინტეგრირება)<br>• გამწვანების / დასუფთავების / სკვერებისა და პარკების მოწყობის ღონისძიებების ორგანიზება / დაფინანსება საგრანტო კონკურსის გზით |

[20] საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017 - 2021

[21] წალკაში მზის ენერგიის გამოყენების პერსპექტიულობა აღნიშნულია საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019 – 2023 - ში (გვ.25).

| | |
|---|---|
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | CENN, წალკის მუნიციპალიტეტის მერია |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში გარემოსდაცვითი განათლების დონე გაზრდილია<br>• გარემოსდაცვითი კომპონენტები ინტეგრირებულია სკოლამდელი აღზრდის პროგრამაში<br>• გამწვანებული ადგილების რაოდენობა / მასშტაბი<br>• მოწყობილი სკვერების / პარკების რაოდენობა |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

**ამოცანა 5.3**

ბუნებრივი საფრთხეების იდენტიფიცირების, შეფასების, პრევენციისა და მონიტორინგის მუნიციპალური სისტემის დანერგვის მხარდაჭერა

**დასაბუთება** - გლობალურად მიმდინარე კლიმატის ცვლილების პროცესების კვალდაკვალ საქართველოშიც მკვეთრად გაიზარდა სტიქიური და გეოლოგიური მოვლენების სიხშირე და ინტენსივობა. შესაბამისად, აქტუალურია რისკის ზონებისა და წყაროების პერმანენტული შეფასება, მონიტორინგი და სწორი მართვა.

წალკის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის SWOT ანალიზის შედეგად ბუნებრივი საფრთხეებიდან გამოიკვეთა ადგილობრივი რელიეფისა და გეოლოგიური პირობებისთვის დამახასიათებელი ძლიერი ქარებისა და წვიმის შედეგად გამოწვეული პრობლემები, აგრეთვე გვალვა და სეტყვა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების გატარება კატასტროფების შედეგად გამოწვეული ზიანის შემცირების უზრუნველსაყოფად და რეაგირების ეფექტიან მექანიზმის გამართვა.

| **სტრატეგიული აქტივობა 5.3.1** | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული რისკების შემცირების გეგმის შემუშავება |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | რისკების შემცირების გეგმა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:<br>1. ბუნებრივი საფრთხეების პრევენცია კატასტროფის რისკების შეფასებით, რუკების (მათ შორის, წყალმოვარდნის საფრთხისა და რისკის) შემუშავებით, მდინარის კალაპოტის მართვის მეთოდების შეფასებით, ადრეული შეტყობინებების სისტემის დანერგვით<br>2. მოსახლეობის მზადყოფნის უზრუნველყოფა საფრთხის შემცველი ბუნებრივი პროცესებისადმი (საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები და სიმულაციები)<br>3. რეაგირება სტიქიურ საფრთხეებზე (სამძებრო-სამაშველო ტექნიკური უნარების განვითარება)<br>4. რეაბილიტაცია და აღდგენა (მონაცემთა ბაზის წარმოება |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | ბუნებრივი საფრთხეების რისკის ზონაში მყოფი ადმინისტრაციული ერთეულები (მაგალითად, სოფელი განთიადი) |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური,<br>სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი<br>წალკის მუნიციპალიტეტის მერია |

| | |
|---|---|
| **წალკის  LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | 1. LAG-ი თავად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, შესაბამისი ტექნიკური დახმარებით გეგმავს და ახორციელებს ტრენინგებს / სიმულაციებს<br>2. ადვოკატირების მექანიზმების გამოყენებით LAG-ი ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებზე ხელს უწყობს ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული რისკების შემცირების გეგმის შემუშავებას<br>3. LAG- ი აფინანსებს რისკების შემცირების ღონისძიებებს |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | CENN |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • შემუშავებულია პოტენციური საფრთხეების რუკები<br>• ადრეული შეტყობინების სისტემა დანერგილია<br>• ტრენინგების / სიმულაციების რაოდენობა |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

| **სტრატეგიული აქტივობა 5.3.2** | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | ქარსაფარი ზოლების აშენების,  ეროზირებული სათიბ-საძოვრების აღდგენისა და სხვა გარემოსდაცვითი ინიციატივების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | აქტივობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი მიმართულებებით:<br>1. ჩართულობის მექანიზმებით ადგილობრივ თვითმმართველობასთან ადვოკატირება (მაგალითად, მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმარების დროს)<br>2. აღდგენითი და გარემოსდაცვითი ინიციატივების თანადაფინანსება |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, განსაკუთრებით -  რისკის ზონაში და მოსაზღვრე ტერიტორიებზე მცხოვრები პირები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | წალკის მუნიციპალიტეტის მერია, გარემოს ეროვნული სააგენტო |
| **წალკის  LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | • ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა შეხვედრების, ტრენინგების, საჯარო დისკუსიების ინიცირების გზით<br>• ადვოკატირების კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება<br>• აღდგენითი ინიციატივების თანადაფინანსება |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | ეროვნული სატყეო სააგენტო |

| განხორციელების ვადა | 2020 – 2024 |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • გაშენებული ქარსაფარი ზოლების რაოდენობა და მასშტაბი<br>• აღდგენილი სათიბ-საძოვრების ფართობი |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

# პრიორიტეტული სფერო 6 - ჯანდაცვა და სოციალური საკითხები

## ჯანდაცვა და სოციალური საკითხები - SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| 1. სახელმწიფო პროგრამების არსებობა<br>2. საყოველთაო დაზღვევა<br>3. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა<br>4. სოციალური პროგრამები (მოხსნილი მიწის გადასახადი, ფინანსური დანამატები კომუნალურ გადასახადებზე)<br>5. მრავალშვილიანების ფინანსური მხარდაჭერა<br>6. მერიიდან ფინანსური მხარდაჭერა<br>7. მერიიდან არაფულადი მხარდაჭერა<br>8. თბილისიდან მოწვეული სპეციალისტები სამედიცინო სერვისების უზრუნველსაყოფად<br>9. ჰიპოკრატეს უფასო სამედიცინო მომსახურება<br>10. კანონი მაღალმთიანობის შესახებ<br>11. გარემონტებული ამბულატორიის შენობები | 1. სპეციალისტების ნაკლებობა<br>2. სუსტი ინფრასტრუქტურა (ამბულატორიების სიმცირე, გაუმართავობა)<br>3. ნაკლები ტექნიკური აღჭურვა<br>4. ნაკლები ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე<br>5. ეკომიგრანტებისა და შშმ პირების არასათანადო მხარდაჭერა<br>6. შშმ პირების სოციალიზაცია<br>7. დღის ცენტრის არქონა<br>8. ნაკლები კომუნიკაცია ტრანსპორტის არარსებობის გამო<br>9. სოციალური მომსახურების სისტემის შესახებ მოსახლეობაში ინფორმირებულობის დაბალი დონე<br>10. ოჯახური ძალადობის შემთხვევები<br>11. სოფლად აფთიაქებზე წვდომის არარსებობა, ხოლო ქალაქად - წვდომის შეზღუდულობა<br>12. 24 -საათიანი აფთიაქის არარსებობა<br>13. ქსელური აფთიაქების არარსებობა<br>14. რეანომობილის არარსებობა<br>15. გადაუდებელი დახმარების (სახანძრო) მომსახურების არაეფექტიანობა (განსაკუთრებული პრობლემაა ზედა ზონაში)<br>16. შშმ პირებზე არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა<br>17. სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულება<br>18. მარტოხელა მოხუცების სიმრავლე<br>19. მარტოხელა მოხუცების სოციალიზაციის პრობლემა<br>20. ლაბორატორიის მუშაობის პრობლემა |

| შესაძლებლობები | საფრთხეები |
|---|---|
| 1. ადგილობრივი ბიუჯეტისა და დაფინანსების გაზრდა | 1. ინფლაცია, დევალვაცია |
| 2. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (შშმ პირების საჭიროებებზე ადაპტირება) | 2. ბენეფიციარების მზარდი რაოდენობა |
| 3. კერძო ორგანიზაციებთან კოოპერაციისა და კოორდინაციის გაუმჯობესება | 3. ცნობიერების დაბალი დონე |
| 4. კადრების გადამზადება (სოც. მუშაკები და მედ. პერსონალი) | 4. სამუშაო ადგილების შემცირება |
| 5. ახალგაზრდებისა და შშმ პირების სოც. დაუცველების სოციალიზაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა | 5. მოსახლეობის მიგრაცია |
| 6. პროფესიული სწავლების დანერგვა (საექთნო საქმე და ა.შ.) | 6. მასშტაბური პროექტების დასრულება წალკის მუნიციპალიტეტში |
| 7. არსებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა | 7. ეპიდემიის გავრცელება |
| 8. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში | |
| 9. სოციალური დაცვის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება | |
| 10. მუნიციპალური სოციალური ბიუჯეტი მეტად მოერგოს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებას (ადვოკატირება ამისთვის) | |
| 11. მარტოხელა ხანდაზმულებისთვის შინ მოვლის სერვისის დანერგვა | |
| 12. სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალიზაციის სივრცეების შექმნის ხელშეწყობა | |

# ჯანდაცვა და სოციალური საკითხები - ამოცანები და სტრატეგიული ღონისძიებები

**ამოცანა 6.1**

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მომსახურების განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში ადვოკატირების, ინფრასტრუქტურის განვითარების, სხვადასხვა ახალი მომსახურების დანერგვისა და არსებული მომსახურების გაუმჯობესების გზით.

**დასაბუთება** - ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობა საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, მათ შორის, წალკის მუნიციპალიტეტშიც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ სამედიცინო პერსონალისთვის აწესებს სახელფასო დანამატებს, დარგის სპეციალისტების ნაკლებობა ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება. ამბულატორიების, რეანომობილის, 24 - საათიანი აფთიაქების, სტომატოლოგიური კაბინეტის, ლაბორატორიის სერვისების არქონა ჯანმრთელობის რისკებს ქმნის ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

SWOT ანალიზმა ასევე გამოავლინა შშმ პირებისა და ხანდაზმულების სოციალიზაციის პრობლემა, სოციალური მომსახურების სისტემის შესახებ მოსახლეობაში ინფორმირებულობის დაბალი დონე, ოჯახური ძალადობის შემთხვევების სიმრავლე და რეფერირების მექანიზმების არცოდნა.

წალკის მუნიციპალიტეტში უპატრონო ძაღლების პრობლემაც მწვავედ დგას. მათი რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. რეკომენდებულია წალკის მუნიციპალიტეტის მერიასთან აღნიშნული საკითხის ადვოკატირება.

| **სტრატეგიული აქტივობა 6.1.1** | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხარისხიანი მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის ადვოკატირება წალკის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების აქტიური გამოყენების გზით |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | ოჯახური ძალადობის შემთხვევების პრევენციისა და მართვის, შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურისა და სხვადასხვა ახალი მომსახურების შექმნის, ადგილობრივი ტრანსპორტის განვითარების, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მოზიდვის, გადაუდებელ სამედიცინო მომსახურების განვითარების, უპატრონო ძაღლების პრობლემის მოგვარების ადვოკატირება საინფორმაციო, საკომუნიკაციო, პარტნიორობისა და ადმინისტრაციული ჩართულობის მექანიზმების გამოყენებით |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | წალკის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ჯგუფები - შშმ პირები, სოციალურად დაუცველი პირები, ხანდაზმულები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ახალგაზრდები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | ჯანდაცვის სამინისტრო, წალკის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახური |

| | |
|---|---|
| **წალკის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება<br>მოსახლეობის მობილიზება და მათი ჩართულობის გაზრდა მუნიციპალიტეტის მართვაში.<br>ადვოკატირების ღონისძიებების ორგანიზება |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | წალკის მუნიციპალიტეტის ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“<br>დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი „NCDC“<br>ზიანის შემცირების ეროვნული ცენტრი<br>ATIPFUND |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2024** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • რისკჯგუფების საჭიროებაზე მორგებული სოციალური და ჯანდაცვის მომსახურების გაზრდილი რაოდენობა<br>• ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების შესახებ ცნობადობის გაზრდილი დონე<br>• რისკჯგუფების წარმომადგენლების რაოდენობა და % (სეგრეგირებული სქესის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), რაც მათთვის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მომსახურების გაუმჯობესებულ ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს<br>• შშმ პირების საჭიროებების მიხედვით აშენებული / რეაბილიტირებული შენობების რაოდენობა |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

## სტრატეგიული აქტივობა 6.1.2

| | |
|---|---|
| **სტრატეგიული აქტივობის დასახელება** | ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში |
| **სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა** | ამბულატორიების, რეანომიბილის, 24 - საათიანი აფთიაქების, სტომატოლოგიური კაბინეტის, ლაბორატორიისა და სხვა სამედიცინო მომსახურების დანერგვისა და განვითარების მხარდაჭერა.<br>რისკჯგუფების საჭიროებებზე მორგებული სოციალური მომსახურების განვითარების მხარდაჭერა |
| **ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი** | წალკის მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობა - სოციალურად დაუცველი ჯგუფები - შშმ პირები, სოც. დაუცველები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ახალგაზრდები, იძულებით გადაადგილებული პირები, ეკომიგრანტები |
| **პასუხისმგებელი პირები/ორგანოები** | ჯანდაცვის სამინისტრო, ჯანდაცვის, სოციალური უზუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურები. |

| | |
|---|---|
| **წალკის  LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი** | წალკის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებისთვის პრიორიტეტული სამედიცინო და სოციალური მომსახურების დანერგვისა და განვითარების თანადაფინანსება |
| **ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია** | სახელმწიფო და კერძო ჯანდაცვის მომსახურების პროვაიდერები,<br>წალკის მუნიციპალიტეტის ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“<br>დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი „NCDC“ |
| **განხორციელების ვადა** | **2020 – 2022** |
| **მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები** | • დაუცველი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული სოციალური მომსახურებების გაზრდილი რაოდენობა<br>• სოციალური მომსახურებით მოსარგებლე ადამიანების გაზრდილი კმაყოფილება<br>• პაციენტების გაზრდილი კმაყოფილება (სეგრეგირებული სხვადასხვა ნიშნით)<br>• ჯანდაცვის ახალი მომსახურების გაზრდილი რაოდენობა<br>• განახლებული მომსახურებით მოსარგებლე პირების გაზრდილი  რაოდენობა |
| **პრიორიტეტი** | მაღალი |

# დანართი 1 - წალკის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების შესაბამისობა ეროვნულ სტრატეგიებთან

## დანართი #1.1 წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანები სოფლის მეურნეობის მიმართულებით და მათი შესაბამისი ეროვნული დოკუმენტები

| ამოცანის დასახელება | ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლები | საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2017-2021) | საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია (2017-2020) | საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა (2018-2021) |
|---|---|---|---|---|
| **ამოცანა 1.1**<br>წალკის მუნიციპალიტეტში ფერმერების ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა<br><br>**აქტივობა 1.1.1**<br>წალკის მუნიციპალიტეტში ფერმერების ცნობიერების ამაღლება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობების მეშვეობით.<br><br>**აქტივობა 1.1.2**<br>ფერმერების ცნობიერების ამაღლება პროდუქციის რეალიზაციის ბაზრებზე წვდომისა და რეგულაციების შესახებ | **მიზანი 1:** საჯარო ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება<br><br>**მიზანი 6:** რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა<br><br>**მიზანი 8:** ვაჭრობისა და მომსახურების სექტორის განვითარება<br><br>**ამოცანა 9.3.** ტურისტების მომსახურების დონის ამაღლება | **მიზანი 1** - კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლოსამეურნეო სექტორები.<br><br>**ამოცანები:**<br>• ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა | **SWOT ანალიზი**<br><br>თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ცოდნის არასაკმარისი გამოყენება<br><br>**გვ. 55 2. ძირითადი გამოწვევები**<br>საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა შორეული სოფლებიდან მოსწავლეების სკოლებში ტრანსპორტირებისთვის; სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დაბალი ხელმისაწვდომობა პროფესიულ განათლებასა და ტრენინგებზე;<br><br>თუმცა არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შეახებ ჩანაწერს | არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შესახებ ჩანაწერს |
| **ამოცანა 1.2**<br>მცენარეებისა და ცხოველების ჯიშობრივი გაუმჯობესების ხელშეწყობა<br><br>**აქტივობა 1.2.1**<br>მეცხოველეობის კარგი პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში | **მიზანი 5:** სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა | მიზნები<br>სტრატეგიის მიზნებია:<br><br>**1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტიან სისტემები.**<br>• ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება<br>• ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან<br>• ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება<br>• სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა | არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შესახებ ჩანაწერს | არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შესახებ ჩანაწერს |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აქტივობა 1.2.2**<br>წალკის მუნიციპალიტეტის ორგანული თესლებითა და სასუქებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა | არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შსეახებ ჩანაწერს | არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შესახებ ჩანაწერს | არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შესახებ ჩანაწერს | არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შესახებ ჩანაწერს |
| **ამოცანა 1.3**<br>სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში<br><br>**აქტივობა 1.3.1**<br>სარწყავი სისტემების განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში | **მიზანი 5:** სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა | **პრიორიტეტი 1:** ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა | **1.2.6. სოფლის ინფრასტრუქტურა** - გზები, წყალმომარაგება, გაზის მიწოდება, ინტერნეტი და კავშირგაბმულობა ირიგაცია/მელიორაცია | არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შესახებ ჩანაწერს |
| **აქტივობა 1.3.2**<br>გადამმუშავებელი საწარმოს შექმნის ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში | **მიზანი 3:** სამრეწველო და ენერგოსექტორების პოტენციალის განვითარება<br><br>**მიზანი 6:** რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა<br><br>**ამოცანა 7.3.** მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფუძნების მხარდაჭერა | **პრიორიტეტი 1:** ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა | **1.2.4. სოფლის მეურნეობა**<br>საუბარია სოფლის-მეურნეობის სექტორში პროდუქციის გადამუშავების მნიშვნელობაზე, თუმცა არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შესახებ ჩანაწერს | არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შესახებ ჩანაწერს |
| **ამოცანა 1.3**<br>სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში<br><br>**აქტივობა 1.3.3**<br>სამაცივრე და სასაწყობე ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში | **მიზანი 8:** ვაჭრობისა და მომსახურების სექტორის განვითარება | **სურსათი და სოფლის მეურნეობა** - სახელდება პრობლემად, თუმცა არ მოიცავს კონკრეტულ ამოცანას | არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შესახებ ჩანაწერს | არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შესახებ ჩანაწერს |
| **ამოცანა 1.4**<br>სოფლის მეურნეობის აუცილებელი მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფა წალკის მუნიციპალიტეტში<br><br>**აქტივობა 1.4.1**<br>წალკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა | **მიზანი 5:** სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა<br><br>**მიზანი 8:** ვაჭრობისა და მომსახურების სექტორის განვითარება | **ღონისძიება 3.4.9** სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის ამაღლება.<br><br>განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრარული სექტორის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფას და მომსახურების გაუმჯობესებას. ჩატარდება არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მდგომარეობის დეტალური ანალიზი და განისაზღვრება მათი საჭირო რაოდენობა და პრიორიტეტები საქართველოს მასშტაბით.<br>მუშაობა გრძელდება სატრაქტორო პარკის ტექნიკური ინფრასტრუქტურის განახლების მიმართულებითაც | **კოოპერაცია.**<br><br>სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვა, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნე§ო კოოპერატივებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოებისათვის დადგენილი აგროვადების დაცვა | **ცხრილი 14.** საჭიროებები და პოტენციალი დაგეგმვის რეგიონების დონეზე<br>• სამეგრელო-ზემო სვანეთის სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალი დონე<br><br>**VII.2.4. ღონისძიება 2.4.** სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა - სოფლის მეურნეობა<br><br>**მიზანი:** სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აქტივობა 1.5.1**<br>სოფლის მეურნეობის ახალ სექტორებში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა | **ამოცანა 3.3.** ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა<br><br>**მიზანი 6:** რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა<br><br>**მიზანი 7:** მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა<br><br>**ამოცანა 7.3.** მცირე და საშუალო საწარმოების დაფუძნების მხარდაჭერა | **მიზანი 1**<br><br>• ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია<br>• სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება | აწარმოე საქართველოში: ა)ინდუსტრიული მიმართულება, რომლის მიზანია მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით | არ მოიცავს აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის შესახებ ჩანაწერს |

# დანართი #1.2 წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანები ტურიზმისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით და მათი შესაბამისი ეროვნული დოკუმენტები

| ამოცანის დასახელება | საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა (2018-2021) | ქვემო ქართლის განვითარების სტრატეგია (2014 – 2021) | საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის (2021 - 2027) სამოქმედო გეგმა (2021 – 2023) | ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025 | საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია (2019-2023) და სამოქმედო გეგმა (2019-2020) |
|---|---|---|---|---|---|
| **ამოცანა 2.1**<br>წალკის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის ხელშეწყობა<br><br>**აქტივობა 2.1.1**<br>წალკის მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის, ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული პროდუქტების შესახებ ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე | **ღონისძიება 2.3**<br>სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა - ტურიზმი<br><br>**ღონისძიების მიზანი**<br>ტურისტული ინდუსტრიის პოტენციალისა და ცალკეული რეგიონების განვითარებაზე მისი გავლენის ზრდა, რაც უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდით, საზღვარგარეთ მარკეტინგული აქტივობებისა და სარეკლამო კამპანიების ორგანიზებით, შიდა ტურიზმის სტიმულირებით, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით, ტურიზმის სექტორში ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარების გზით მიიღწევა | **მიზანი 9**<br>ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება<br><br>**ამოცანა 9.2**<br>პროგრამული ინიციატივებისა და მათი განხორციელების მხარდაჭერა<br><br>**ღონისძიებები**<br>• ტურიზმის სხვადასხვა სახის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია<br>• ადგილობრივი ნატურალური პროდუქტებისა და ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაცია; მათი რეკლამირება და მარკეტინგი ვებ-გვერდებით, ბილბორდებით, სარეკლამო ფურცლებით, ბროშურებით, ტურისტული გამოფენებით<br>• სხვადასხვა სახისა და მასშტაბის ტრადიციული სპორტული დღესასწაულების, შეჯიბრებების, ფოლკლორული ფესტივალების, კონკურსების, ოლიმპიადების აღდგენა-განვითარების ორგანიზება | **ამოცანა 1.7**<br>სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება<br><br>**ამოცანა 1.7.1**<br>სოფლად ტურისტული პროდუქტების განვითარება<br><br>პროგრამის დასახელება სახ. ბიუჯეტში<br>შიდა ტურიზმი და მარკეტინგული ღონისძიებები საერთაშორისო ბაზარზე | **სტრატეგიული ამოცანა 3**<br>ეფექტიანი მარკეტინგისა და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით ვიზიტორების მოზიდვა მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან; შიდა ტურიზმის სტიმულირება<br><br>**აქტივობა 3.2**<br>ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადი და შთამბეჭდავი ბრენდის შექმნა<br><br>**აქტივობა 3.4**<br>ინტერნეტ და სოციალური მედიასაშუალებებით შინაარსზე ორიენტირებული მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ისტორიების გაზიარებითა (storytell-ing) და თემატური კამპანიების გზით | **ამოცანა 1.1**<br>ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა<br><br>**აქტივობა 1.1.2**<br>ტურისტული სერვისების განვითარება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **აქტივობა 2.1.2**<br>ტურისტულ საქმიანობაში ჩართული პირების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა ვიზიტორებისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების მიზნით | **ღონისძიება 2.1**<br>საწარმოების, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობა<br><br>**ღონისძიების მიზანი**<br>მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის უკეთესი პირობების შექმნა<br><br>**აქტივობა**<br>მცირე და საშუალო ბიზნესის ადამიანური რესურსების განვითარება (ტრეინინგპროგრამები მფლობელთათვის, მენეჯერებისა და მცირე და საშუალო საწარმოების თანამშრომლებისათვის) | **ამოცანა 9.3**<br>ტურისტების მომსახურების დონის ამაღლება<br><br>**აქტივობა**<br>ტურისტული მომსახურების ობიექტებში მომსახურე პერსონალის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განხორციელება; გიდებისა და სექტორში დასაქმებული სხვა სპეციალიზებული პერსონალის მომზადება-გადამზადების ხელშეწყობა | **ამოცანა 1.7**<br>სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება<br><br>**ამოცანა 1.7.3**<br>კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა) | **სტრატეგიული ამოცანა 4**<br>კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზების გზით<br><br>**აქტივობა 4.2**<br>ტურისტული პროდუქტის შემუშავებასა და მარკეტინგში, ასევე მომსახურების სფეროსა და სხვა მომიჯნავე საქმიანობაში ჩართულ, კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებულთა ტრენინგი | **ამოცანა 1.1**<br>ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა<br><br>**აქტივობა 1.1.2**<br>ტურისტული სერვისების განვითარება<br><br>**ღონისძიება**<br>ჩატარებული, სულ მცირე, 10 ტრენინგი, რომელიც მოიცავს მათ შორის გადამზადებას უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის, აგროტურისტული ობიექტების მართვისა და ოპერირების, საოჯახო სასტუმროების მართვის, მარკეტინგისა და გაყიდვების ხელშეწყობისა და პირველადი სამედიცინო დახმარების მიმართულებებით |
| **ამოცანა 2.2**<br>დივერსიფიცირებული ტურისტული მომსახურების / ტურისტული პროდუქტების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში<br><br>**აქტივობა 2.2.1**<br>ადგილობრივი ბუნებრივი და კულტურული რესურსის გამოყენებით შექმნილი ტურისტული პროდუქტების / მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში | **ღონისძიება 2.3**<br>სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა - ტურიზმი<br><br>**ღონისძიების მიზანი**<br>ტურისტული ინდუსტრიის პოტენციალისა და ცალკეული რეგიონების განვითარებაზე მისი გავლენის ზრდა, რაც უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდით, საზღვარგარეთ მარკეტინგული აქტივობებისა და სარეკლამო კამპანიების ორგანიზებით, შიდა ტურიზმის სტიმულირებით, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით, ტურიზმის სექტორში ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარების გზით მიიღწევა | **მიზანი 9**<br>ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება<br><br>**ამოცანა 9.2**<br>პროგრამული ინიციატივებისა და მათი განხორციელების მხარდაჭერა<br><br>**ღონისძიება**<br>ტურიზმის სხვადასხვა სახის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია | **ამოცანა 1.7**<br>სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება<br><br>**ამოცანა 1.7.1**<br>სოფლად ტურისტული პროდუქტების განვითარება | **მიზანი 2**<br>ქვეყნის კულტურული და ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებით ვიზიტორებისთვის უნიკალური და ამაღლებული შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობის შექმნა, რაზეც მზარდი მოთხოვნაა მსოფლიოს ყველაზე მაღალგადახდისუნარიან ტურისტულ ბაზრებზე | **ამოცანა 1.1**<br>ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა<br><br>**აქტივობა 1.1.3**<br>აგროტურიზმის, ეკოტურიზმისა და კულტურული ტურიზმის პროგრამების დახვეწა |
| **ამოცანა 2.3**<br>ტურისტული ინფრასტრუქტურის (საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, გასართობი ადგილები,სხვადასხვა სახის საჭირო მომსახურება, ტურისტული მარშრუტები, ბილიკები და ა.შ) მოწყობის/ განახლების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში<br><br>**აქტივობა 2.3.1**<br>ტურისტული ობიექტების შექმნის / გაფართოების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში | **ღონისძიება 2.3**<br>სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა - ტურიზმი<br>ღონისძიების მიზანი<br>ქვეყანაში ტურისტული ნაკადის მოზიდვა, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება | **მიზანი 9**<br>ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება<br><br>**ამოცანა 9.1**<br>ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება<br>აქტივობა<br>სათანადო ხარისხისა და რაოდენობის სასტუმროების, რესტორნების, კაფეების, სწრაფი კვების ობიექტების, კემპინგის პუნქტების, განათების სისტემების, საზოგადოებრივი საპირფარეშოების, მანქანების პარკირებისა და სუვენირების მაღაზიების მოწყობის წახალისება-ხელშეწყობა ტურისტული ღირსშესანიშნაობების გარშემო | **ამოცანა 1.7**<br>სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება<br><br>**ამოცანა 1.7.2**<br>მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება | სტრატეგიული ამოცანა 1<br>ტურიზმის სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა<br><br>**აქტივობა 1.1**<br>ახალი, კერძო ინვესტიციების მოზიდვა ტურიზმის სექტორისათვის | **ამოცანა 1.1**<br>ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა<br><br>**აქტივობა 1.1.1**<br>ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **აქტივობა 2.3.2**<br>ტურისტული მარშრუტებისა და ბილიკების მოწყობა / განახლების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში | **ღონისძიება 2.3**<br>სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა - ტურიზმი<br><br>**ღონისძიების მიზანი**<br>ქვეყანაში ტურისტული ნაკადის მოზიდვა, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება<br><br>**აქტივობა**<br>მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა | **მიზანი 9**<br>ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება<br><br>**ამოცანა 9.1**<br>ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება<br><br>**აქტივობა**<br>მხარის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ქალაქებში, სოფლებში, გზებსა და მაგისტრალ-ტრასებზე ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნების, ასევე ქუჩების სახელდებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი (მიმართულების მიმანიშნებელი) ფირნიშებისა და აბრების დამონტაჟება ქართულ და ინგლისურ ენებზე | **ამოცანა 1.7**<br>სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება<br><br>**ამოცანა 1.7.2**<br>მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება | **სტრატეგიული ამოცანა 1**<br>ტურიზმის სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა<br><br>**აქტივობა 1.7**<br>ინდივიდუალური მოგზაურობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო დაფებისა<br>და მიმართულების მაჩვენებელი მანიშნებლების დამატება ქვეყნის მასშტაბით<br>(საერთაშორისო ან ევროკავშირის სტანდარტების გამოყენებით) | **ამოცანა 1.1**<br>ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა<br><br>**აქტივობა 1.1.1**<br>ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება<br>ღონისძიება<br>მონიშნული სამთო სალაშქრო, სულ მცირე, 7 ბილიკი და მოწყობილი მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა (საინფორმაციო დაფები, რუკები) |

# დანართი #1.3 წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანები გენდერული თანასწორობისა და ქალთა ინტეგრაციის მიმართულებით და მათი შესაბამისი ეროვნული დოკუმენტები

| ამოცანის დასახელება | საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა (2018-2021) | ქვემო ქართლის განვითარების სტრატეგია (2014 – 2021) | საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია (2021 - 2027) | გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა (2018 – 2020) | ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაერო -ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018–2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა |
|---|---|---|---|---|---|
| **ამოცანა 3.1**<br>გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტში არაფორმალური საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერის გზით<br><br>**აქტივობა 3.1.1**<br>არაფორმალური საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერა - საგანმანათლებლო, საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენელი ქალებისა და კაცების, ბიჭებისა და გოგონების აქტიური ჩართულობით გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით | **ღონისძიება 3.6**<br>მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა | **მიზანი 14**<br>მედიისა და სამოქალაქო სექტორის განვითარების, გენდერული უთანასწორობის შემცირების, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის უზრუნველყოფა<br><br>**აქტივობა**<br>გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება | სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები<br>სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალთა, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის სტიმულირებას | **ამოცანა 3**<br>გენდერული თანასწორობის სფეროში არსებული სახელმწიფო მექანიზმების გამართული და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა<br><br>**აქტივობა 3.1**<br>გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბება აფხაზეთისა და აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოებთან არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან, მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეებთან, აგრეთვე მუნიციპალიტეტების საკრებულოთა წევრ ქალებთან<br><br>**ამოცანა 5**<br>გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერ ღონისძიებებში მონაწილეობა<br><br>**აქტივობა 5.3**<br>ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობის მიღება | **მიზანი 3**<br>ქალებსა  და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისა და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ამოცანა 3.2**<br>მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ასაკის, სქესის, ეთნიკური ჯგუფისა და განსხვავებული საჭიროებების მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა და მათი ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა<br><br>**აქტივობა 3.2.1**<br>ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით  სხვადასხვა საჭიროებების მქონე სოციალური ჯგუფების (ქალები, კაცები, ბიჭები, გოგონები, ახალგაზრდები, ხანდაზმულები, სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, შშმ პირები) საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მუნიციპალიტეტის მართვაში აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების გამოყენების გზით | **ღონისძიება 3.6**<br>მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა | **მიზანი 14**<br>მედიისა და სამოქალაქო სექტორის განვითარების, გენდერული უთანასწორობის შემცირების, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის უზრუნველყოფა<br><br>**აქტივობა**<br>• საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისკენ მიმართული სპეციალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება<br>• ადგილობრივ თვითმმართველობაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის წახალისება | **სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები**<br>სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალთა, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის სტიმულირებას | **ამოცანა 2**<br>გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფისა და მისი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა<br><br>**აქტივობა 2.2**<br>ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება | **მიზანი 1**<br>ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე უსაფრთხოების სექტორსა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში<br><br>**მიზანი 4**<br>ქალებისა და გოგონების უსაფრთხოება, საჯარო სერვისებზე წვდომა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა |
| **აქტივობა 3.3.2**<br>წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა რისკჯგუფების, განსაკუთრებით კი - ქალების, ახალგაზრდების, ხანდაზმულების, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, იძულებით გადაადგილებული პირების, ეკომიგრანტების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა ბიზნესინიციატივების დაფინანსების გზით | **ღონისძიება 3.6**<br>მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა | **მიზანი 14**<br>მედიისა და სამოქალაქო სექტორის განვითარების, გენდერული უთანასწორობის შემცირების, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის უზრუნველყოფა<br><br>**აქტივობა**<br>ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს/მედიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება და ბიზნესსექტორსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის წახალისება | **სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები**<br>სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალთა, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის სტიმულირებას | **ამოცანა 2**<br>გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფისა და მისი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა<br><br>**ამოცანა 2.5**<br>ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით  არსებული კვლევების საფუძველზე საკანონმდებლო პაკეტის პროექტის მომზადება საქართველოს შრომის კოდექსსა და სხვა კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ | **მიზანი 5**<br>სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები, გოგონები და მათი ოჯახის წევრები |

# ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ #1.4 ᲬᲐᲚᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ / ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ / ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ / ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

| ამოცანისა და აქტივობის დასახელება | საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა (2018-2021) | ქვემო ქართლის განვითარების სტრატეგია (2014 – 2021) | საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის (2021 - 2027) სამოქმედო გეგმა (2021 – 2023) | საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია (2019-2023) და სამოქმედო გეგმა (2019-2020) | საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ (2015) |
|---|---|---|---|---|---|
| **ამოცანა 4.1**<br>წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური, ემოციური, სოციალური და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა ახალგაზრდული, სპორტული, საგანმანათლებლო და კულტურული ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით<br><br>**აქტივობა 4.1.1**<br>საგანმანათლებლო, სახელოვნებო, სპორტული და ახალგაზრდული სივრცეების ინფრასტრუქტურის მოწყობის ხელშეწყობა - არსებული ცენტრების განახლება და ახალი ობიექტების შექმნა | **პრიორიტეტი 3**<br>ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება<br><br>**ამოცანა 3.1**<br>ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა<br><br>**ამოცანა 3.2**<br>პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება | **მიზანი 12**<br>განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება<br><br>**აქტივობები**<br>• საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მათი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემის სრულად გადაჭრა და პედაგოგების/ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება<br>• რეგიონში კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება | **ამოცანა 1.5**<br>ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა<br><br>**აქტივობა 1.5.3**<br>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება<br><br>**აქტივობა 1.5.6**<br>სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა<br><br>**აქტივობა 1.5.7**<br>სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია | **სამოქმედო გეგმის მიზანი 2.2**<br>ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა<br><br>**აქტივობა 2.2.1**<br>საგანმანათლებლო სივრცეების ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა | მუხლი 4.2<br>სახელმწიფო უზრუნველყოფს მაღალმთიან დასახლებაში შემდეგი სოციალური შეღავათების დაწესებას:<br><br>პუნქტი 4.2.ვ/თ<br>სახელფასო დანამატი -<br>საჯარო სკოლის მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35%.<br>პროფსასწავლებლებში - შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35%;<br>სპეციალური პროგრამების მონაწილე მასწავლებლისათვის - შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50%/.<br><br>პუნქტი 4.2.ზ<br>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საჯარო სკოლებისა და მრავალსექტორიანი საჯარო სკოლებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებზე ვაუჩერის გაზრდილი ოდენობით გაცემა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ამოცანა 4.2**<br>წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური, ემოციური, სოციალური და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი არაფორმალური პროგრამების განხორციელების გზით<br><br>**აქტივობა 4.2.1**<br>სხვადასხვა სქესისა და ასაკის ბავშვების, ახალგაზრდების, ქალების, ხანდაზმულების, ეთნიკური უმცირესობების და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების გაძლიერებაზე ორიენტირებული, ინტერკულტურული ჩართულობისა და ინკლუზიის მხარდამჭერი საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა. | **პრიორიტეტი 3**<br>ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება<br><br>**ამოცანა 3.1**<br>ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა | **მიზანი 12**<br>განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება<br><br>**აქტივობები**<br>• საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მათი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემის სრულად გადაჭრა და პედაგოგების/ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება<br>• რეგიონში კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება | **ამოცანა 1.5**<br>ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა<br><br>**აქტივობა 1.5.3**<br>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება<br><br>**აქტივობა 1.5.6**<br>სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა<br><br>**აქტივობა 1.5.7**<br>სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია | **სტრატეგიის აქტივობა 2.2.2**<br>განათლების სერვისების ხელმისაწვდომობა:<br>- საჯარო სკოლებში ექსტრაკურიკულარული წრეების დაფინანსება  მოსწავლეთა საზაფხულო სკოლების ორგანიზება სხვადასხვა მიმართულებით | **მუხლი 4.2**<br>სახელმწიფო უზრუნველყოფს მაღალმთიან დასახლებაში შემდეგი სოციალური შეღავათების დაწესებას:<br><br>**პუნქტი 4.2.ვ/თ**<br>სახელფასო დანამატი -<br>საჯარო სკოლის მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35%.<br>პროფსასწავლებლებში - შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35%;<br>სპეციალური პროგრამების მონაწილე მასწავლებლისათვის - შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50%/.<br><br>**პუნქტი 4.2.ზ**<br>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საჯარო სკოლებისა და მრავალსექტორიანი საჯარო სკოლებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებზე ვაუჩერის გაზრდილი ოდენობით გაცემა |
